608. 65 წლის პაციენტი, უჩივის ჰაერის უკმარისობას, ხელებს, ხელების შესიებას. სახეზეა ზემო კიდურების შეშუპება, კისრის ვენების და გულმკერდის გაბერვა და თვალების ირგვლივ შეშუპება. ავადმყოფის მდგომარეობა უფრო მეტად სავარაუდოა, რომ განპირობებული იყოს შემდეგი პათოლოგიით:

- ა) ნეფროზული სინდრომით;
- *ბ) ზემო დრუ ვენის სინდრომით;
- გ) გულის შეგუბებითი უკმარისობით;
- დ) ჰიპერტენზიული ენცეფალოპათიით;
- ე) ღვიძლის პათოლოგიით.

609. ჰიპერკალციემია - ეს არის მიელომური დაავადების ხშირად განვითარებული გართულება. ამასთან 40% პაციენტებში გამოხატულია ჰიპერკალციემიის კლინიკური სურათი, რომელიც გულისხმობს ყველა ჩამოთვლილ ნიშანს, გარდა:

- ა) ზურგში ტკივილის;
- ბ) ყაბზობის;
- გ) ცენტრალური ნერვული სისტემის დათრგუნვის;
- *დ) ცხელების;
- ე) გაუწყლოვნების.

610. ყველა ჩამოთვლილი მტკიცება სამართლიანია გეტანუსთან მიმართებაში, გარდა:

- ა) პაციენტებში, რომლებსაც აღნიშნებით აღერგია პენიცილინი, არჩევით მეთოდად ითვლება - მეტრონიდაზოლით მკურნალობა 500 მგ-ის დოზით ყოველ 6 სთ-ში;
- *ბ) კუნთების ლოკალური კრუნჩხვები, რომლებიც წარმოიქმნება ინფექციის შემავალი კარის ახლოს, ძირითადად არის დაავადების პირველ დღეებში, მაგრამ შეიძლება განვითარდეს შემდეგშიც;
- გ) თანამედროვე რეკომენდაციებით, აქტიური იმუნიზაცია აუცილებელია ჩატარდეს ყოველ 10 წელიწადში;
- დ) გეტანუსის დროს გენერალიზებული კრუნჩხვები ძალიან ჰავაგ სტრიქინით მოწამვლას, მაგრამ ლიფერენციალური ლიანგნომი საჭიროა გატარდეს როგორც დისტონიურ, ისე ჰიპოკალციემიურ კრუნჩხვებთან;
- ე) სიმპათიური ტონუსის მომატება - ეს არის ვეგეტატიური დარღვევის პირველი ნიშანი და ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მდგომარეობის სიმძიმეს.

611. ყველა შემდგომი მტკიცება სამართლიანია ზემო სასუნთქი გზების ინფექციასთან მიმართებაში, გარდა:

- ა) ამოქსიცილინი წარმოადგენს პირველი რიგის პრეპარატს მწვავე შუა ოტიტის დროს;
- *ბ) ანტიბიოტიკოთერაპია ეფექტურია მწვევლებში, რომლებსაც არა აქვთ ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებები;
- გ) ქლამიდია და მიკოპლაზმაზე მოქმედებისათვის ეფექტურია ერთობლივი და დოქსაცეკლინი;
- დ) დაღვნილი არაა, რომ ანტიბიოტიკოთერაპია ეფექტურია ავადმყოფებში, რომლებსაც აქვთ ჩირქოვანი ნახველი;
- ე) ქლამიდია - პნევმონიისა ხშირი მიზეზია.

612. 21 წლის სამხედრო მოსამსახურე უჩივის ცხელების მწვავე დაწყებას მას შემდეგ, რაც რამდენიმე დღის განმავლობაში აწუხებდა პათოლოგიური მოვლენები ზემო სასუნთქი გზების მხრივ. ავადმყოფს აღნიშნება ცხელება 39 გრადუსამდე. მიაღვია, თავის ტკივილი, გულისრევა, ლებინება. ცხადად ჩანს ვარდისფერი გამონაყარი მუცლისა და ხელისგულებზე. ობიექტური გამოკვლევებით აღინიშნება კეფის კუნთების რიგილობა, მაგრამ თვალის ფსკერი პათოლოგიის გარეშეა. ნევროლოგიურად - კეროვანი სიმპტომატიკა არ ჩანს, გულის გამოკვლევისას მოისმინება ნაზი შუილი. თავ-ბურგ-გვინის სითხეში:

პოლიმორფულ-ბირთვული ლეიკოციტები-20; გლუკოზა - 2,64მმოლ/ლ; ცილა - 450მგ/ლ. ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი მტკიცება, ამ დაავადების მიმართ სამართლიანია, გარდა:

- ა) დაავადება გამოწვეულია ანაერობული გრამ-უარყოფითი ლიპოკოკებით;
- ბ) მხოლოდ პაციენტების 60%-ს აღენიშნება ცხელება და გამონაყარი;
- გ) სისხლისა და თავ-ზურგ-გვინის სითხის დათესვა იძლევა დადებით შედეგს ავადმყოფთა 75%-ში;
- *დ) გამონაყარი, ძირითადად წარმოდგენილია პურპურის სახით;
- ე) პენიცილინით მკურნალობა ითვლება არჩევის მეთოდად.

613. ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის ინფექციაზე დადებითი რეაქციის მქონე 32 წლის ნარკომანი უგონო მდგომარეობაშია. ობიექტური მონაცემები ნორმიდან გადახრის გარეშეა, გარდა სხეულის ტემპერატურისა - 38,3 გრადუსი. ტრავმის ნიშნები არ არის. გუგები 3მმ, ნორმალური რეაქციით, ღვრილები ბრგყელი. ერთი თვით ადრე გამოწვეული იქნა პნევმოციტომის ლიანგნობით (პნევმოციტური პნევმონია) პენტამიდინით მკურნალობის შემდეგ. გამოწვევისას მას დაინიშნული ჰქონდა რამდენიმე მედიკამენტი, მათ შორის დაპსონი და იმონიაზიდი, თუმცა ღებულობდა თუ არა მათ, უცნობია. თ ლიმფოციტების რიცხვი წინა ჰოსპიტალიზაციისას იყო 283. ავადმყოფს მკურნალობენ მუდმივად 50% დექსტროზის ხსნარით, ნალოქსონით და ფლუმამენილით. ლაბორატორიული გამოკვლევებისას აღმოჩნდა: ლეიკოციტოზი - 2,3 10(**9)/ლ; ჰემობლობინი - 90გ/ლ; ნატრიუმი - 132მმოლ/ლ; კალიუმი -3,4მმოლ/ლ; ქლორი - 95მმოლ/ლ; P_{CO}2 - 15 მმ ვწყ. სვ. ; ნარჩენი აზოტი - 7 მმოლ/ლ; კრეატინინი - 132მმოლ/ლ; გლუკოზა - 22,3 მმოლ/ლ; თავის გვინის კონტრასტული კომპიუტერული ტომოგრაფია - პათოლოგიის გარეშე. ცერებროსპინალური სითხის გამოკვლევისას გამოვლინდა: გლუკოზა - 12,3მმოლ/ლ; ცილა - 400 მგ/ლ; პოლიმორფულ-ბირთვული ლეიკოციტები - 2-3 და 0-1 ერთიროციტები. ბიოქიმიური ანალიზი ჯერ მზად არ არის. ყველაზე მეტად სარწმუნო მიზეზი ამ ავადმყოფს გონების დაკარგვისას, არის:

- ა) პენტამიდინით გამოწვეული ჰიპოგლიკემია;
- ბ) ტუბერკულოზური მენინგიტი;
- გ) გოქსოპლამზომი ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით;
- *დ) იმონიაზიდით ინტოქსიკაცია;
- ე) გრამ-უარყოფითი ბაქტერიებით გამოწვეული სეფსისი.

614. 4 წლის ბიჭს აქვს ძლიერი შეგუებით ხასიათის ტკივილი მუცელში. 2 დღის განმავლობაში და პერიოდულად სისხლიანი თხიერი განავალი. ის ახლახან იღებდა კლავოცინს შიგა ყურის ინფექციის გამო. მისმა ოჯახმა წინა კვირაში ჭამა ჰამბურგერი სწრაფი კვების რესტორანში, რის შემდეგაც უფროსი ბავშვი უჩიოდა ზომიერ სპაზმებს კუჭის არეში. დღეს ღებამ შენიშნა პაციენტს გამონაყარი ფეხებზე. გამოკვლევისას: სხეულის ტემპერატურა ნორმალურია, თ/A - 80/50 მმჰგ; პულსი - 140 წუთში; სუნთქვის სისძირე 14 წთ-ში; გირის და უჩივის ტკივილს, ვლინდება მუცლის დიფუზური მტკივნეულობა ნაწვალთა ხმაურის გაძლიერებით. განავალი თხიერი, მთლიანად სისხლიანი. მუხლებზე, კუნთებსა და ბარძაყებზე ჩანს პურპურის ტიპის გამონაყარი. ლაბორატორიული მონაცემებიდან ყურადღებას იმართებს: ლეიკოციტები - 12/10(**9)/ლ, ჰემოგლობინი - 80გ/ლ; თრობოციტები - 78 10(**9)/ლ; ელექტროლიტები შეცვლილი არ არის, მაგრამ ნარჩენი აზოტი - 31მმოლ/ლ; კრეატინინი - 281მმოლ/ლ; შარდის ანალიზში - ცილა -4(+). მეთილენის ლილით გამოკვლევისას ლეიკოციტები განავალში - უარყოფითია. ყველა შემდეგი მტკიცება ამ დაავადებასთან დაკავშირებით სამართლიანია, გარდა:

- *ა) პაციენტების უმრავლესობას, ყველაზე ახალგაზრდებს გარდა, ახასიათებს ცხელება;
- ბ) მხოლოდ პაციენტების 1/3-ს აღენიშნებათ ლეიკოციტები განავალში;
- გ) ლიანგნობის დაღასტურებისათვის აუცილებელია დათესვა სპეციალურ ნიადაგზე;
- დ) ეს დაავადება - ყველაზე მეტად ჩვეულებრივი მიზეზია ჰემოლიზური ურემიისა;
- ე) დაავადება დაკავშირებულია ხორციანი პროლუქტების და აულულარი რძის მიღებასთან აგრეთვე ტბებში ბანაობასთან.

615. ინფექციური დაავადების გამოვლინება ხანშიშესულ პირებში შეიძლება განსხვავებულდეს ანალოგიურისაგან ახალგაზრდებში ყველა შემდეგი მიზეზით, გარდა:

- *ა) ისინი გამოწვეულია სხვადასხვა გამლიზიანებლებით;
- ბ) შესაძლებელია ტემპერატურული რეაქციის ცვალებადობა;
- გ) ფიზიკალური გამოკვლევების მონაცემები შეიძლება იყოს არასპეციფიური და შენიღბული;
- დ) შეიძლება ლეიკოციტოზი არ იყოს გამოხატული;
- ე) სასუნთქი და შარდის გამოყოფის სისტემის ხშირი დაზიანება შეიძლება ართულებდეს გამომწვევის იდენტიფიცირებას.

616. ყველა შემდეგი მტკიცება ცხელებასთან მიმართებაში, სამართლიანია, გარდა:

- ა) სხეულის ტემპერატურა 40,3 გრადუსზე მეტი შეიძლება მოწმებდეს პროცესის არაინფექციურ ხასიათზე;
- ბ) კეროვანი ინფექციური პროცესები, რომლებიც სტრუქტურულად შემლუვლია, ხშირად არ იწვევენ ტემპერატურის მომატებას;
- *გ) სხეულის ტემპერატურის მომატების ღონეს აქვს პირდაპირი კავშირი სეფსისის განვითარების რისკთან;
- დ) სუნთქვის გახშირებამ შეიძლება დააქვეითოს ტემპერატურა პირის ღრუში 0,5%-ით ნორმის ზემოთ ყოველი 10 ჩასუნთქვით სუნთქვის სისძირის გაზრდისას;
- ე) თირკმლებისა და ღვიძლის დაავადებები იწვევენ ტემპერატურული რეაქციის დაქვეითებას.

617. რომელი შემდეგი მტკიცებაა სარწმუნო ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით (აივ) ინფიცირებულ პაციენტებში ცხელების შეფასებისათვის?

- ა) აივ-ით ინფიცირებულ პაციენტებს, იმუნოსუპრესიის არსებობის გამო, გაურკვეველი გენეზის ყველა ცხელების დროს, უნდა ჩაუტარდეს ჰოსპიტალიზაცია;
- ბ) აივ-ით ინფიცირებულ ავადმყოფებს, რომელთაც თ-ჰელპერების რიცხვი აქვთ 250-ზე მეტი, საეჭვოა, რომ ჰქონდეთ სიცოცხლისათვის საშიშრათი ინფექციები;

*გ) აიფ-ით ინფიცირებულ პაციენტებს ბაქტერიული ინფექციებით აქვთ დაავადების ისეთივე გამოვლინება, როგორც ნორმალური იმუნური პასუხის პირებს, გარდა იმისა, რომ მათ შესაძლებელია ჰქონდეთ გემპერაგურული რეაქციები;
დ) თუ პაციენტი ნარკოზშია და იყენებს ნარკოტიკებს ინტრავენურად, მაშინ ის ჰოსპიტალიზირებული უნდა იქნეს 48 სთ-ის განმავლობაში დაკვირვებისათვის, სანამ არ იქნება მიღებული მონაცემები სისხლის დათესვიდან;
ე) ლუმბალური პუნქცია უნდა ჩატარდეს ყველა პაციენტში, ვისაც აქვს გაურკვეველი გენების უცნობი ცხელება.

618. 71 წლის მამაკაცი პარამელიკების მიერ მიყვანილ იქნა კლინიკაში სუნთქვის მწვავე ღარღვევით. მიუხედავად იმისა, რომ გრაქის ინტუბაციის გაძნელებას ჰქონდა ადგილი, მაინც მოხერხდა მისი ჩაგარება მესამე ცდით, გამოყენებულ იქნა რა საგანგებო თანმიმდევრული მეთოდიკა. ჰოსპიტალიზაციის შემდეგ მეღვაწე შენიშნავს, რომ პაციენტს აქვს გამოხატული შემოფარგლული მოძრაობები ზემო კიდურებში. სხვა მხრივ ნევროლოგიური სტატუსი უცვლელია. დაავადება, რომელიც ყველაზე მეტად სარწმუნო შემთხვევაში იძლევა ამ სიმპტომებს, არის:

- ა) იშემიური ინსულტი;
- ბ) ჩს/ჩიშ მალეების ქვეამოვარდნილობა სპინალური ღარღვევებით;
- გ) წინა თავ-ზურგ-გვინის არტერიის სინდრომი;
- დ) ფსევდოქოლინესთერაპიული უკმარისობით გამოწვეული პარეზი;
- *ე) ცენტალური სპინალური სინდრომი.

619. უსუფთაო უსახლკარო მამაკაცი ნაპოვნი იქნა გონების დაკარგვის ნიშნებით, პირის ღრუდან ალკოჰოლის სუნით. 2 მგ ნარკანისა და 25 მგ 50% გლეუკობის შეყვანის შემდეგ კომა გადრმავდა. ობიექტური გამოკვლევებით ვლინდება გუგების ჩვეულებრივი რეაქცია სინათლეზე. ნისტაგმი და VI წყვილი ქალა-გვინის ნერვის ორმხრივი პარეზი. ცნობიერება გაფანტულია, ორიენტირება მხოლოდ სახელზე. ყველაზე უფრო სარწმუნო დიაგნოზი არის:

- ა) ალკოჰოლური ინტოქსიკაცია;
- ბ) დიაბეტური კეტოაციდოზი;
- გ) სუბდურალური ჰემატომა;
- დ) ალკოჰოლური კეტოაციდოზი;
- *ე) ვერნიკეს ენცეფალოპათია.

620. ყველა ჩამოთვლილი შეიძლება იყოს აციდოზის მიზეზი ფუქების დაკარგვით, გარდა:

- ა) ღიარეის;
- ბ) ჰიპოალდოსტერონიზმის;
- გ) თირკმლის მილაკებისმიერი აციდოზის;
- *დ) ასპირინის გადაჭარბებული დოზით მიღების;
- ე) აცეტაზოლამიდის (დიაკარბისა) მიღების.

621. ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი დამახასიათებელია კუშინგის სინდრომისათვის, გარდა:

- *ა) ჰიპოგლიკემიის;
- ბ) ჰიპერნატრიემიის;
- გ) ჰიპოკალიემიის;
- დ) არტერიული ჰიპერტენზიის;
- ე) ჰიპერქოლესტერინემიის.

622. ალკოჰოლური კეტოაციდოზის დაწყებითი თერაპია მოიცავს:

- ა) ნატრიუმის ჰიდროკარბონატს;
- ბ) ინსულინს;
- გ) კალიუმს;
- დ) პოლივიტამინს;
- *ე) გლეუკოზას.

623. დიაბეტური კეტოაციდოზის დროს ცნობიერების დარღვევა მჭიდროდ არის დაკავშირებული შემდეგ მაჩვენებლებთან:

- ა) სისხლში შაქრის 33 მმოლ/ლ-ზე მაღალ დონესთან;
- ბ) კეტოსხეულების შრატში 1:4-ზე მაღალ დონესთან;
- გ) სისხლის pH-ის 7,1 ან ნაკლებ ციფრთან;
- *დ) სისხლის შრატის ოსმოლარობის 340 მმოლ/კგ-ზე მაღალ დონესთან;
- ე) კალიუმის 2,0 მმოლ/ლ-ზე დაბალ დონესთან.

624. რა აქვს საერთო ალკოჰოლურ კეტოაციდოზს და დიაბეტურ კეტოაციდოზს?

- *ა) შრატში ინსულინის დაბალი დონე;
- ბ) ჰიპერგლიკემია;
- გ) ორგანიზმის კალიუმის მარაგით გამოფიტვა;
- დ) კუსმაულის გიპის სუნთქვა;
- ე) სხეულის გემპერაგურის მომატება.

625. ყველა ჩამოთვლილი ლაბორატორიული მაჩვენებლების გადახრა დამახასიათებელია თირკმელზედა ჯირკვლის პირველადი უკმარისობისათვის, გარდა:

- ა) ჰიპონატრიემიის;
- ბ) ჰიპერკალიემიის;
- გ) ჰიპოგლიკემიის;
- დ) ამოტემიის;
- *ე) აცილოზის.

626. ყველაზე ხშირი მიზეზი სისხლის შრატში კალიუმის დონის მომატებისა არის:

- ა) ლაბორატორიული შეცდომები;
- *ბ) თირკმლის უკმარისობა;
- გ) თირკმელზედა ჯირკვლის მწვავე უკმარისობა;
- დ) რაბდომიოლიზი;
- ე) აცილოზი.

627. სტაბილურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტს დიაბეტური კეტოაცილოზით, თერაპიის დაწყებიდან 3 სთ-ში განუვითარდა გულის გაჩერება. განვითარებული მდგომარეობის ყველაზე უფრო სარწმუნო მიზეზი არის:

- ა) თავის ტვინის შეშუპება;
- ბ) ინსულინის გადაჭარბებული მიღება;
- გ) აცილოზი;
- *დ) ჰიპოკალიემია;
- ე) მიოკარდიუმის ინფარქტი.

628. ბავშვებში, რომელთაც არა აქვთ შაქრიანი დიაბეტი, ჰიპოკალიემიის ყველაზე უფრო ხშირ მიზეზს წარმოადგენს:

- ა) ასპირინის გადაჭარბებული მიღება;
- ბ) ეთანოლის მიღება;
- *გ) შიმშილი;
- დ) ღვიძლის დაზიანება;
- ე) ინსულინოზა.

629. წამლების მიღებასთან დაკავშირებული ჰიპოგლიკემიის ხშირ მიზეზს წარმოადგენს:

- ა) აცესოლი;
- *ბ) ეთანოლი;
- გ) ასპირინი;
- დ) ეტამზილატი;
- ე) აცეტამინოფენი (პარაცეტამოლი).

630. როგორია არტერიო-ალველური გრადიენტი მუჟავ-გუტოვანი წონასწორობის მანევრების და სისხლის აირების შემდეგი მონაცემების დროს $P_{aH}=7,32$; $P_{aO_2}=74$ მმ ვწყ. სვ. $P_{aHCO_2}=30$ მმ ვწყ. სვ. (ჩვეულებრივ შენობაში, ზღვის დონეზე)?

- ა) 20 მმ ვწყ. სვ. ;
- ბ) 30 მმ ვწყ. სვ. ;
- *გ) 40 მმ ვწყ. სვ. ;
- დ) 50 მმ ვწყ. სვ. ;
- ე) 60 მმ ვწყ. სვ.

631. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ ავადმყოფებში გულის გაჩერების ხშირ მიზეზს წარმოადგენს:

- ა) აცილოზი;
- ბ) ჰიპოკალციემია;
- *გ) ჰიპერკალიემია;
- დ) ჰიპერფოსფატემია;
- ე) ურემია.

632. პაციენტი უგონო მდგომარეობაშია, გამოხატულია ღეჰიდრატაცია. პირველადი რეანიმაციული ღონისძიებები მოიცავდა:

ტრაქეის ინტუბაციას, ინჟექციურ თერაპიას და ფართო სპექტრის ანტიბიოტიკების დანიშვნას. ლაბორატორიული მონაცემებიდან გამოხატულია კალიუმის დონის მომატება სისხლის შრატში 5,73 მმოლ/ლ-მდე. რა არის უფრო მეტად სარწმუნო მიზეზი ამგვარი ჰიპერკალიემიის?

- ა) გამოხატული ღეჰიდრატაცია;
- ბ) D ვიტამინით ინტოქსიკაცია;
- გ) სარკოიდოზი;
- *დ) პირველადი ჰიპერპარათირეოზი;
- ე) სეფსისი.

633. მამაკაცი 40 წლის, რომელსაც აქვს ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი, უჩივის სისუსტეს, პოლიურიას, პოლიდიფსიას, და ღებინებას 5 დღის განმავლობაში. თ/A -90/60 მმ.ჰმ.; პულსი - 130 დარტყმა წთ-ში, სუნთქვის სიხშირე - 18 წთ-ში, სხეულის ტემპერატურა 37,3 გრადუსი მუჟავ-გუტოვანი წონასწორობის და სისხლის აირთა გაჯერების მონაცემები: $P_{aH}=7,44$; $P_{aO_2}=42$ მმ ვწყ. სვ. ; $P_{O_2} = 80$ მმ ვწყ. სვ. . ბიოქიმიური მანევრებლებიდან ყურადღებას იპყრობს: შრატის გლუკოზა -

32,2 მმოლ/ლ; ნაგრიუმი - 132 მმოლ/ლ; ქლორი - 83 მმოლ/ლ და H₂O₃- 27 მმოლ/ლ; შრაგში აღმოჩნდა კეტოსხეულები. როგორ შეიძლება ამ ავადმყოფის მკურნალობა? წინასწარმართვის მარეგნებლებიდან და სხვა მონაცემიდან გამომდინარე.

მკურნალობის მდგომარეობის დახასიათება?

ა) მეტაბოლური აცილოზი ანიონების დაგროვებით;

ბ) მეტაბოლური ალკალოზი;

*გ) მეტაბოლური აცილოზი ანიონების დაგროვებით და მეტაბოლური ალკალოზი;

დ) მეტაბოლური აცილოზი ანიონების დაგროვების გარეშე.

634. 53 წლის მამაკაცი, რომელსაც აწუხებს ალკოჰოლიზმი, ასციტი, შეშუპები და ღვიძლის დაზარალების გერმინალური სგადია, ბოლო ათი დღის განმავლობაში, აღენიშნება ცნობიერების დარღვევა. სისხლისმომოქცევა სტაბილურია, სხეულის ტემპერატურა არ მაგულობს. ჩივილები არა აქვს, შეწყვიტა დიურეტიკების მიღება და ისევ დაიწყო ალკოჰოლის მოხმარება. ობიექტური გამოკვლევებით გამოვლინდა ნაგრიუმის დონე 112 მმოლ/ლ; ჩამოთვლილიდან რომელი წარმოადგენს ჰიპონატრიემიის აღიქვადურ მკურნალობას ამ პაციენტის შემთხვევაში?

ა) ნაგრიუმის ქლორიდის ჰიპერტონული ხსნარის (3% 25-100 მლ/სთ-ში) შეყვანა;

ბ) ნაგრიუმის ქლორიდის იზოტონური ხსნარის (0,9% - 25-100 მლ/სთ-ში) შეყვანა;

გ) ნაგრიუმის ქლორიდის ჰიპოტონური ხსნარის (0,45% - 25-100 მლ/სთ-ში) შეყვანა;

*დ) სითხის მიღების შემლუღვა.

635. თირეოტოქსიური კრიზი შეიძლება დიფერენცირებულ იქნას თირეოტოქსიკოზისაგან შემდეგი ნიშნებით:

ა) ლაბორატორიული მონაცემებით;

ბ) ტაქიკარდიით;

გ) ღიარებით;

*დ) ფსიქიური მდგომარეობის შეცვლით (ცნობიერების);

ე) კუნთების სისუსტით.

636. 16 წლის გოგონას, რომელსაც ახლახან აღმოაჩნდა დაღებითი ტუბერკულოზური სინჯი განუვითარდა კრუნჩხვითი შეტევები, რომლებიც არ კონტროლირდება დიაზეპამის შეყვანით. მშობლების გადმოცემით, ავადმყოფის საწოლში ნაპოვნი იქნა იმონიაზიდის ცარიელი ფლაკონი. ყველაზე უფრო მიზანშეწონილი თერაპია ამ შეტევების შეწყვეტისათვის არის:

ა) ფენიტინი (დიფენინი) ინტრავენურად 15 მგ/კგ-ზე დოზით;

*ბ) პირიდოქსინი ინტრავენურად 5 გ-ის დოზით;

გ) ნაგრიუმის ჰიდროკარბონატი ინტრავენურად ერთი ამპულა;

დ) 120 მლ ტაველგის სიროფი ნაზო-გასტრალური ზონლით;

ე) ნაზო-გასტრალური ზონლით 50 გ გააქტივებული ნახშირის მიღება.

637. ჩამოთვლილიდან რომელი ახასიათებს ყველაზე უფრო მეტად "დელირიუმ ტრემენს"?

ა) კრუნჩხვითი შეტევა 90 წმ-ის ხანგრძლივობით ალკოჰოლის მიღების შეწყვეტიდან 12 სთ-ის შემდეგ;

ბ) გაღიზიანება და გრემორი ჰალუცინაციების გარეშე;

გ) ჰალუცინაციები დამაკმაყოფილებელი საერთო მდგომარეობის ფონზე;

*დ) სხეულის ტემპერატურის მომაგება, ტაქიკარდია და ფსიქიური სტაგუსის დარღვევა;

ე) არეაქტიული (გულგრილი) პაციენტი წერტილოვანი გუგებით და ზედაპირული სუნთქვით.

638. რომელი მდგომარეობის დროს არის რეკომენდირებული არტერიული წნევის ფორმირებული დაწევა პრემორბიდულ ღონემდე?

ა) თრომბოემბოლიური ინსულტი;

ბ) ჰემორაგიული ინსულტი;

გ) ემბოლიური ინსულტი;

დ) გრანზიტორული (გარდამავალი) იშემია;

*ე) სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა.

639. ყველა შემდგომი მტკიცება, რომელიც შეეხება სუციდს, წარმოადგენს სარწმუნოს, გარდა:

ა) თვითმკვლელობის რისკი იზრდება 65 წელზე მეტი ასაკის პირებში;

ბ) პაციენტებს ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებით აქვთ თვითმკვლელობის აწეული რისკი;

გ) ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება წარმოადგენს უფრო "წარმატებულ" თვითმკვლელობის მცდელობას, ვიდრე მათის ვენების გაღებვა;

*დ) ახალგაზრდა გოგონებში თვითმკვლელობის რისკი უცვლელია.

640. ყველა ჩამოთვლილი კლინიკური სიმპტომები წარმოადგენს მანიაკალური მდგომარეობისათვის დამახასიათებელს, გარდა:

ა) ექსპანსიური აგზნებადი განწყობილება;

ბ) განდიდების მანია;

გ) აქცენტირებული მეტყველება;

*დ) შინაგანი ორგანოების მხრივ ჩივილების აგრავაცია;

ე) ძილის მოთხოვნილების დაქვეითება.

641. რომელი ჩამოთვლილი არტერიის დაზიანება იძლევა "ჩაკეტილი ადამიანის" სინდრომს?

- ა) გვინის შუა არტერიის;
- ბ) გვინის წინა არტერიის;
- გ) გვინის უკანა არტერიის;
- დ) ვერტებრალურის;
- *ე) ბაზილარულის.

642. ქვემოთხამოთვლილი ლაბორატორიული მონაცემიდან რომელი ხსნის პაციენტში კრუნჩხვითი შეტევის არსებობას?

- ა) სისხლის ქანგბადით გაჯერება 97%;
- ბ) სისხლის შრატში გლუკოზის შემცველობა 5,5 მმოლ/ლ;
- გ) ნატრიუმის შემცველობა შრატში 140 მმოლ/ლ;
- *დ) კალციუმის შემცველობა შრატში 6,5 მმოლ/ლ;
- ე) მაგნიუმის შემცველობა შრატში 2,0 მმოლ/ლ.

643. ავადმყოფი უჩივის, რომ რამდენიმე ხნის წინ მას განუვითარდა დიპლოპია და ფტოზი, შემდეგ თანდათანობით სხეულის და კიდურების დამბლა. პაციენტს არ აღენიშნება სხეულის გემპერაგურის მომაგება, ცხვირ-ხახა შეცვლილი არ არის, შენახულია კისრის მოძრაობა, აღენიშნება ხელებისა და ფეხების სისუსტე. ედროფონიუმის (ტენზილენის) შეყვანაზე რეაქცია არ აღენიშნება. კანის ცვლილებები არ ვლინდება. რა არის ყველაზე უფრო მეტად ამ პაციენტში დამბლის მიზეზი:

- ა) ლიფთერია;
- *ბ) ბოტულიზმი;
- გ) ტეტანუსი;
- დ) ტკიპისმიერი დამბლა (აღმავალი დამბლა, ტკიპის კბენით გამოწვეული);
- ე) მიასთენია.

644. ყველა ჩამოთვლილი მდგომარეობა წარმოადგენს სალიფერენციაციო-სალიაგნოსტიკოს იგონ-ლამბერტის სინდრომის მიასთენიისაგან განსხვავებისათვის, გარდა?

- ა) "იგონ-ლამბერტის" სინდრომი ხშირად ვითარდება ფილტვის თითისტარაუჯრედოვანი კარცინომის დროს;
- ბ) პაციენტებში "იგონ-ლამბერტის" სინდრომით აღინიშნება ნაკლებად გამოხატული სისუსტე (ატონია) ან კუნთოვანი ტონუსის გადახრა საშუალო დონიდან;
- გ) მიასთენია შეიძლება განვითარდეს თიმომების დროს;
- *დ) მიასთენიის დროს გაუმჯობესება შეიძლება მოხდეს ციკლური მორეციდივე მიმდინარეობის სახით;
- ე) "იგონ-ლამბერტის" სინდრომის დროს ედროფონიუმის შეყვანაზე რეაქცია არ არის.

645. ჩამოთვლილიდან რომელი მიუთითებს ჩვეულებრივი კრუნჩხვითი შეტევის არსებობის (ფსევდოეპილეფსიური) სასარგებლოდ ნამდვილი ეპილეფსიისაგან განსხვავებით?

- *ა) შეტევის დროს მეტყველება შენარჩუნებულია;
- ბ) შეტევის დაწყებას ყოველთვის ჩვეულებრივ თან ახლავს ყვირილი;
- გ) კრუნჩხვის გონურ-კლონური ხასიათი;
- დ) შეტევის შემდეგ გონების დაკარგვა;
- ე) შეტევის დროს თავის თავზე დაზიანების მიყენება.

646. 35 წლის მამაკაცი, პირიდან ალკოჰოლის სუნით და გრაგმის ხილული ნიშნების გარეშე. უკონტაქტობა, რეაგირებს მხოლოდ მტკივნეულ გაღიზიანებაზე გაურკვეველი ლუღლუღით და გასინჯვის დროს იშორებს ექიმს. ჩამოთვლილიდან რომელი ახასიათებს აღნიშნული პაციენტის ცნობიერებას?

- ა) ძილი;
- ბ) ლეთარგია;
- *გ) სტუპორი;
- დ) კომა;
- ე) ფსიქოგენური კომა.

647. 32 წლის ქალი, ადამიანის იმუნოდეფიცილის ვირუსით (აივ)-ინფიცირებული, მოთავსდა კლინიკაში კრუნჩხვითი შეტევის შემდეგ. ნევროლოგიური გამოკვლევების მონაცემები პათოლოგიის გარეშეა. თავის გვინის კომპიუტერული ტომოგრაფიის დროს გამოვლინდა რამდენიმე კერა კონტრასტის გაძლიერებული ჩართვით. ჩამოთვლილიდან რომელი უფრო ნაკლებად იწვევს აღნიშნულ მდგომარეობას:

- ა) გოქსოლამბომი;
- ბ) თავის გვინის ლიმპომა;
- გ) კრიპტოგენური ინფექცია;
- დ) ტუბერკულოზი;
- *ე) მოპროგრესირე მრავალ ფოკუსური ლეიკოენცეფალოპათია.

648. 22 წლის მამაკაცს განუვითარდა აღმავალი პარესთეზია და ტკივილი ზემო სასუნთქი გზების მწვავე ინფექციიდან 2 კვირის შემდეგ. ეს სიმპტომები თანდათანობით გადავიდა დამბლაში, არეფლექსიაში, მენჯის დრუს ორგანოთა (შარდის ბუშტი და ნაწლავის) ფუნქციის დარღვევაში და ე4-ის დონის ქვემოთ ტკივილისა და სხეულის გემპერაგურის, აგრეთვე მგრძობელობის დაქვეითებაში. ზემო კიდურების ფუნქცია შეცვლილი არ არის, სხვა ნევროლოგიური სიმპტომები არ აღინიშნება.

ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსით გამოკვლევისას აღინიშნა ზურგის გვინის გამობერვა თ1 და თ2-მდე გარედან მეწლის

გარეშე. ყველაზე უფრო მეტად სარწმუნო დიაგნოზია:

- ა) ეპიდურალური აბსცესი;
- *ბ) მწვავე განივი მიელიტი;
- გ) ტკიპისმიერი ღამბლა (ალმაგალი ღამბლა, ტკიპის ნაკებით გამოწვეული);
- დ) გიენ-ბარეს სინდრომი;
- ე) მიასთენია.

649. ჩამოთვლილიდან რომელია სარწმუნო ცოფთან მიმართებაში?

- ა) ყველაზე ხშირად ცოფის ვირუსის გადატანად გვევლინებიან თავგები;
- ბ) მსოფლიოში ყოველწლიურად რეგისტრირდება 30000 სიკვდილის შემთხვევა ცოფის ვირუსის გამო;
- გ) ინკუბაციური პერიოდი, მიმდინარე ინფიცირების მომენტიდან კლინიკურ გამოვლინებამდე, ცნობილია და ჩვეულებრივ გრძელდება 4-დან 8 კვირამდე;
- *დ) ნეგრის სხეული, ნაპოვნი გვინის ქსოვილში, ცოფისათვის პათოგენურია;
- ე) პაციენტები, რომელთაც აქვთ ცოფის კლინიკური სიმპტომები, ჩვეულებრივ გადარჩებიან (გაუმჯობესდებიან), თუ მათ დაუყოვნებლივ ჩაუტარებენ აქტიურ და პასიურ იმუნიზაციას.

650. საგულე გლიკომიდებს არ ახასიათებს:

- ა) გულის კუნთის ავტომატიზმის გამრღა;
- *ბ) კორონარული ვაზოდილატაცია;
- გ) მიოკარდიუმის კუმშვადუნარიანობისა და სისტოლური მოცულობის მატება;
- დ) მიოკარდიუმში ნივთიერებათა ცვლის პროცესების შემცირება;
- ე) გულის შეკუმშვის სისხირის შემცირება.

651. ბრადიარითმიის (ბრადიკარდიის) მკურნალობას იწყებენ:

- ა) აღრენალინით;
- ბ) ნორადრენალინით;
- *გ) ატროპინით;
- დ) სტროფანტინით;
- ე) ობზიდანიტ (ანაპრილინით).

652. ფილტვის შემუშების ყველაზე მეტად დამახასიათებელი კლინიკური ნიშანია:

- ა) მზარდი ციანოზი;
- ბ) ხმაურიანი სუნთქვა;
- გ) სუნთქვის რიგმის დარღვევა;
- *დ) მოვარდისფრო ან მოყვითალო ქაფიანი ნახველი;
- ე) აუსკულტაციით სხვადასხვა ყალიბრის სველი ხიხინი.

653. "გულის გაჩერების" შემთხვევაში არ გამოიყენება:

- ა) აღრენალინი;
- *ბ) დიგოქსინი;
- გ) კალციუმის ქლორიდი;
- დ) ნატრიუმის ჰიდროკარბონატი;
- ე) გლუკოზის 20%-იანი ხსნარი.

654. სისხლისმიმოქცევის მწვავე უკმარისობას ახასიათებს:

- ა) მკვეთრად გამოხატული სისუსტე;
- ბ) კანის საფარველის სიფერმკრთალე;
- გ) კიდურების გაცივება;
- დ) ცივი ოფლი;
- ე) სუსტი ავსებისა და დაჭიმულობის, ხშირი პულსი;
- *ფ) გონების დაკარგვა.

655. სისხლისმიმოქცევის მწვავე უკმარისობის პათოგენეზურ მკურნალობაში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება:

- ა) ფიზიკურ მეთოდებს (ორთოსტატიკულ მდგომარეობას, გათბობას, დამზლას);
- ბ) სუნთქვითი ანალექტიკების დანიშვნას;
- *გ) ალფა-ადრენომიმეტიკების (ნორადრენალინის, მეტაგონის) შეყვანას;
- დ) კორტიკოსტეროიდების ინტრავენურ შეყვანას.

656. შოკის მკურნალობისას მოციროკულირე სისხლის მოცულობის კონტროლის ყველაზე საიმელო მაჩვენებელია:

- *ა) ცენტრალური ვენური წნევა;
- ბ) არტერიული წნევა;
- გ) ღირებების მოცულობა;
- დ) ჰემატოკრიტის მაჩვენებელი.

657. ჰიპოთეზური (ჰემორაგიული) შოკის მკურნალობას იწყებენ:

- ა) ნაგრიუმის ჰიდროკარბონატის (სოდის) ინტრავენური შეყვანით;
- *ბ) პლაზმის ან მალაქტოლუკული კოლოიდების (ალბუმინის, პოლიგლუკინის) ვენაში ნაკალური შეყვანით;
- გ) კრისტალოიდების (გლუკოზის, რინგერის, ფიზიოლოგიური ხსნარის) ვენაში წვეთოვანი გადასხმით;
- დ) ალფა-აღრენომიმეტიკების (მეზაგონის, ნორადრენალინის) შეყვანით.

658. რომელი ჯგუფის პრეპარატების შეყვანა აუცილებელი ნებისმიერი გენეზის შოკის მკურნალობის დროს?

- ა) სუნთქვითი ანალეპტიკების;
- ბ) საგულე გლიკოზიდების;
- გ) ანგიპროსტამინური პრეპარატების;
- *დ) კორტიკოსტეროიდების;
- ე) პერიფერიული ვაზოდილატატორების.

659. კორტიკოსტეროიდებს არ ახასიათებს:

- ა) ანგიანთებითი ეფექტი;
- ბ) მემბრანათა სტაბილურობა;
- გ) პერიფერიული ვაზოდილატაცია;
- დ) ანტიგენ-ანტისხეულის რეაქციის დათრგუნვა (ანგიალერგიული);
- *ე) ანტიკოაგულაციური ეფექტი.

660. მიუთითეთ კრისტალოიდური (5-10%-იანი გლუკოზის, რინგერის) ხსნარების ძირითადი ფუნქცია:

- *ა) ინტერსტიციულ სექტორსა და უჯრედში სითხის ლეფიციის შევსება;
- ბ) სადემინგოქსიკაციო ფუნქცია;
- გ) პარენჩერული კვება;
- დ) მკაფა-ტუტოვანი წონასწორობის კორექცია;
- ე) მიკროცირკულაციის გაუმჯობესება.

661. საინფუზიო ხსნარებიდან რომელი არ გამოიყენება პარენჩერული კვების მიზნით უფრო ხშირად?

- ა) ცილოვანი ჰიდროლიზატები და ამინომჟავები;
- *ბ) სინთეზური კოლოიდები;
- გ) ცხიმოვანი ემულსიები (ინგრალიპიდი, ლიპოფუნდინი);
- დ) ნახშირწყლების ხსნარები (40-60%-იანი გლუკოზა).

662. ლეჰიდრატაციულ თერაპიას ბავშვის ნეიროტოქსიკოზის დროს იწყებენ:

- ა) ვეროშპრონიტ;
- ბ) ნოფურიტი;
- გ) ლიკარბით;
- *დ) ლაზიქსით;
- ე) მანიტოლით.

663. ჰიპერთერმიული სინდრომის ფიზიკური მეთოდებით მკურნალობისას არ გამოიყენება:

- ა) ყინულის ან ცივი საფენის მოთავსება შუბლსა და საზარდულის არეზე;
- ბ) ცივი წყლით კუჭის ამორეცხვა;
- *გ) სპირტით ან ძმრით დაბეჭდა კანის საფარველის გამოხატული სიფერძკრთალის შემთხვევაში;
- დ) ბავშვის გაგრილება ელექტროვენტილატორის საშუალებით.

664. კრუნჩხვისაწინააღმდეგო სამკურნალო საშუალებებიდან გამოხატული ანგიპოქსიური ეფექტი ახასიათებს:

- ა) რელანიუმს;
- *ბ) ნაგრიუმის ოქსიბუტირატს და ჰექსენალს;
- გ) დროპერიდოლს;
- დ) ამინაზინს;
- ე) ჰექსენალს.

665. ბარბიტურატების ინტრავენური შეყვანა არ არის რეკომენდებული:

- ა) ეპილეფსიური კრუნჩხვისას;
- ბ) ფებრილური კრუნჩხვისას;
- გ) ეკლამფსიური კრუნჩხვისას;
- დ) ნოვოკაინით გამოწვეული აგზნებისას;
- *ე) სისხლძარღვოვანი კოლაფსის დროს.

666. რა მიუთითებს გულის ხელოვნური მასაჟის უეფექტობაზე?

- ა) მაქსიმალური არტერიული წნევა 50-70 მმ. ვერცხ. წყ. სვ. -ის ფარგლებში;
- ბ) ერთეული სპონტანური ჩასუნთქვები;
- გ) პულსაცია საძილე და სხივის არტერიებზე;

*დ) გუგების მყარი გაფართოება.

667. პარკუჭების ციმციმის შემთხვევაში რეკომენდებულია:

- ა) სტროფანტინის შეყვანა;
- ბ) ადრენალინის შეყვანა;
- გ) კალციუმის მარილების შეყვანა;
- *დ) ელექტრული ლეფობრილაცია;
- ე) რითმის წარმმართველის ჩართვა.

668. მოწამვლის დროს ხელოვნურად ღებინების გამოწვევა პირველ რიგში მიზანშეწონილია:

- ა) იპეკაკუანის ნაყენის ან ექსტრაქტის დაღვევით;
- ბ) აპომორფინის შეყვანით 0,1 მგ/კგ-ზე;
- გ) რბილი სასისა და ხახის მექანიკური გაღიზიანებით;
- *დ) რბილი სასისა და ხახის მექანიკური გაღიზიანებით 1 ჩაის ჭიქა თბილი მარილიანი წყლის დაღვევის შემდეგ.

669. მოწამვლის დროს ფორსირებული დიურეზის უკუჩვენება არ არის:

- ა) თირკმლის მწვავე უკმარისობა;
- ბ) ფილტვის შეშუპება;
- გ) ტვინის შეშუპება;
- დ) გულის უკმარისობა;
- *ე) პნევმონია.

670. თავის ტკივილი არ ახასიათებს:

- ა) ტყვიით მოწამვლას;
- ბ) ფენოლით მოწამვლას;
- *გ) კალიუმპერმანგანატით მოწამვლას;
- დ) ნიკოტინით მოწამვლას.

671. წონასწორობის მოშლა და ატაქსია არ ახასიათებს:

- *ა) ძმრის ესენციით მოწამვლას;
- ბ) ბარბიტურატებით მოწამვლას;
- გ) ნეიროლეპტიკებით მოწამვლას;
- დ) ანტიჰისტამინური პრეპარატებით მოწამვლას;
- ე) სპირტით მოწამვლას;
- ვ) ოპიუმის პრეპარატებით მოწამვლას.

672. _ ჰალუცინაცია და დელირიუმი არ ახასიათებს

- ა) კოფეინით მოწამვლას;
- ბ) ნავთობპროდუქტებით მოწამვლას;
- გ) სალიცილატებით მოწამვლას;
- დ) აგროპინით მოწამვლას;
- *ე) რკინის პრეპარატებით მოწამვლას;
- ვ) ტრანკვილიზატორებით მოწამვლას;
- ზ) საგულე გლიკოზიდებით მოწამვლას.

673. კრუნხვები არ ახასიათებს:

- ა) სალიცილატებით მოწამვლას;
- ბ) ნიკოტინით მოწამვლას;
- გ) D ვიტამინით მოწამვლას;
- დ) სტრიქნინით მოწამვლას;
- ე) აგროპინით მოწამვლას;
- *ე) ბარბიტურატებით მოწამვლას.

674. ბრადიკარდია ახასიათებს:

- ა) სპირტით მოწამვლას;
- *ბ) საგულე გლიკოზიდებით მოწამვლას;
- გ) აგროპინით მოწამვლას;
- დ) ნიკოტინით მოწამვლას;
- ე) ნავთობპროდუქტებით მოწამვლას.

675. ჰემოლიზური ანემია არ ახასიათებს:

- ა) სულფანილამიდებით მოწამვლას;
- ბ) ნაფთალინით მოწამვლას;
- გ) ტყვიით მოწამვლას;

- *დ) კლოფელინით მოწამვლას;
- ე) ანილინის საღებავებით მოწამვლას.

676. აპნოე არ ახასიათებს:

- ა) ბარბიტურატებით მოწამვლას;
- ბ) კურარეს პრეპარატებით მოწამვლას;
- გ) კლოფელინით მოწამვლას;
- *დ) მკაფებით მოწამვლას;
- ე) ტუტეებით მოწამვლას.

677. ბენზინით მოწამვლას არ ახასიათებს:

- ა) ბენზინის სუნი ავადმყოფის პირიდან;
- *ბ) ჰემატემეზისი (სისხლიანი ლებინება);
- გ) ყელის წვა;
- დ) ცხელება;
- ე) პნემონია.

678. ნავთობპროდუქტებით (ბენზინით, ნავთით) მოწამვლის მანიფესტაციას არ ახასიათებს:

- ა) თავის ტკივილი;
- ბ) მუცლის ტკივილი;
- გ) ნევროლოგიური გამოვლინებები;
- დ) ცხელება;
- *ე) შეუჩერებელი ლებინება და სახის შეწითლება.

679. ბარბიტურატებითა და საძილე პრეპარატებით მსუბუქ მოწამვლას არ ახასიათებს:

- ა) ძილად მივარდნა;
- *ბ) ლებინება;
- გ) ატაქსია;
- დ) ღრმა, შენელებული სუნთქვა;
- ე) გორგმანი;
- ვ) მეტყველების შეფერხება.

680. ბარბიტურატებითა და სხვა საშუალებებით (რადელორმით, ნოქსირონით, ბრომპურალით) მძიმე მოწამვლას არ ახასიათებს:

- *ა) კრუნჩხვა;
- ბ) სუნთქვის დათრგუნვა;
- გ) ჰიპოტენზია;
- დ) გაძლიერებული ბრონქორეა;
- ე) სფინქტერთა მოღუნება;
- ვ) გულის მუშაობის დათრგუნვა;
- ზ) ფილტვის შემუკება;
- თ) კომა.

681. ამინაზინით მოწამვლის მანიფესტაციას არ ახასიათებს:

- ა) მოღუნება და სისუსტე;
- ბ) თავბრუსხვევა და გორგმანი;
- *გ) ჰიპერსალივაცია;
- დ) ლებინება, როგორც წესი, არ აღინიშნება.

682. ამინაზინით ძლიერ მოწამვლას არ ახასიათებს:

- ა) სახის კუნთების კრთომა და კისრის ჰიპერესტეზია;
- *ბ) არტერიული ჰიპერტენზია;
- გ) გრემორი, რიგდულობა, გონური ან კლონური კრუნჩხვა;
- დ) მიდრიაზი (გუგეის გაფართოება) სინათლეზე რეაქციის დაქვეითებით.

683. მკურნალობის რომელი მეთოდი არ არის ხშირად გამოყენებული ამინაზინით მძიმე მოწამვლის დროს?

- ა) კუჭის დროული ამორეცხვა;
- ბ) ფორსირებული დიურეზი;
- გ) ჰემასორბცია;
- დ) პლაზმაფერეზი;
- *ე) ჰემოდიალიზი;

684. ამიტროპილინითა და სხვა ანტიდეპრესანტებით (იმინინით, იპრაზიდით) მსუბუქ მოწამვლას არ ახასიათებს?

- ა) პირის სიმშრალე;
- ბ) ეამოდილაგაცია და კანის შეწითლება;

- გ) ატაქსია;
- *დ) ბრადიკარდია;
- ე) მიდრიაზი;
- ვ) სმენის დარღვევა.

685. რომელი ქვემოაღნიშნული სამკურნალო ჩარევა არ იძლევა ეფექტს ამიტრიპტლინით მოწამვლის დროს?

- ა) კუჭის ამორეცხვა წყლის ღიდი რაოდენობით;
- ბ) გააქტიურებული ნახშირისა და გამხსნელების შეყვანა კუჭში;
- *გ) ფორსირებული დიურეზი;
- დ) ფიზოსტიგმინის ან პროპერინის დანიშვნა;
- ე) ჰემაბსორბცია.

686. ასპირინით მოწამვლას არ ახასიათებს:

- *ა) ყურებში შუილი, სმენის დაქვეითება;
- ბ) სუნთქვის გახშირება;
- გ) სისხლის ღენა ცხვირიდან, კუჭ-ნაწლავის გრაქტიდან, იშვიათად კანქვეშა სისხლჩაქცევები;
- დ) სოპორი, კომა;
- ე) ჰიპოგლიკემია.

687. რომელი პრეპარატებია უკუნაჩვენები დიმედროლით მოწამვლის დროს?

- *ა) ამინაზინი და მისი ჯგუფი;
- ბ) ნაგრიუმისოქსიბუტირატი;
- გ) კორტიკოსტეროიდები;
- დ) ეფედრინი.

688. რომელი პრეპარატის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი აგროპინით მოწამვლის დროს, თუ კი გამოხატულია მკვეთრი აგზნება?

- ა) ამინაზინის;
- ბ) ტიზერცინის;
- *გ) დიმედროლის;
- დ) ღიაზეპამის;
- ე) კოფეინის.

689. აღნიშნული კლინიკური მახასიათებლებიდან რომელი არ არის სწორი ნარკოტიკული ანალგეტიკებით (მორფით, კოდეინით) მოწამვლასთან დაკავშირებით?

- ა) ბავშვები, განსაკუთრებით ჩვილობის ასაკში, ძლიერ მგრძობიარენი არიან ნარკოტიკული ანალგეტიკებისადმი;
- *ბ) გერელე, გახშირებული სუნთქვა (ტაქიპნოე);
- გ) გუგები ძლიერ შევიწროებულია (მიოზი), სინათლეზე არ რეაგირებენ;
- დ) სიკვდილის ძირითადი მიზეზი სუნთქვის ცენტრის დამბლაა.

690. ნარკოტიკული ანალგეტიკებით მოწამვლის მკურნალობის ქვემოაღნიშნული მეთოდებიდან რომელია არასწორად მითითებული?

- *ა) კუჭის ამორეცხვა გამართლებულია მხოლოდ მოწამვლიდან 1 სთ-ის განმავლობაში;
- ბ) ფორსირებული დიურეზი, აციდოზის კორექცია;
- გ) ნალორფინის (ნალქსონის, ნარკანის) შეყვანა კუნთებში ან ვენაში;
- დ) მძიმე და ხანგრძლივი აპნოეს შემთხვევაში გრაქების ინტუბაცია და მართვითი სუნთქვა.

691. ქვემოაღნიშნულიდან რა არის არასწორი იზონიაზიდით მოწამვლასთან დაკავშირებით?

- ა) პრეპარატის დოზა 80 მგ/კგ, როგორც წესი, იწვევს მოწამვლას;
- ბ) გუგების გაფართოება, ბრადიკარდია, ჰიპოთერმია, კოლაფსი;
- გ) კომური მდგომარეობა, გონურ-კლონური კრუნჩხვები;
- *დ) ფორსირებული დიურეზი არ არის ეფექტური;
- ე) სპეციფიკური ანტიდოზა "B6" ვიტამინი.

692. ღიგოქსინით მოწამვლის კლინიკურ მანიფესტაციას არ ახასიათებს:

- *ა) სისხლჩაქცევები კანში;
- ბ) ანორექსია;
- გ) ღებინება;
- დ) თავბრუ;
- ე) ჰალუცინაცია;
- ვ) კომური მდგომარეობა.

693. რომელი კარდიალური გამოვლინება არ ახასიათებს ღიგოქსინით მოწამვლას?

- ა) ბრადიკარდია;

- ბ) ექსტრასისტოლია და ბიგემინია;
- გ) ფიბრილაცია;
- დ) დაბალი თ კბილი;
- ე) AV ბლოკადა;
- *ვ) გაქიკარდია.

694. რკინის პრეპარატებით მძიმე მოწამვლასთან დაკავშირებით არასწორია:

- ა) რკინის მარილებით მოწამვლა ამიანებს კუჭისა და ნაწლავების ლორწოვანს;
- ბ) დოზა 500 მგ/კგ შეიძლება სასიკვდილო აღმოჩნდეს;
- გ) კლინიკურ სურათში წამყვანია გოქსიკური, ჰემორაგიული გასტროენცეროკოლიტი;
- დ) კოლაფსი და გენერალიზებული კრუნჩხვა;
- *ე) პროგნოზი კეთილსაიმედოა.

695. რკინის პრეპარატებით მძიმე მოწამვლის დროს მიზანშეწონილი არ არის:

- ა) კუჭის ამორეცხვა 5%-იანი სოდის ხსნარით;
- ბ) დესფერალის (დესფეროქსამინის) ინექციების დანიშვნა;
- გ) ჰემოდიალიზის სენსი;
- *დ) ჰეპარინის მაღალი დოზები.

696. კალიუმპერმანგანატით მოწამვლის სიმძიმეს ძირითადად განსაზღვრავს:

- ა) ცენტრალური ნერვული სისტემის დამიანება;
- *ბ) გელა სასუნთქი გზებისა და საყლაპავი მილის დამწვრობა;
- გ) ჰემოპოეზური სისტემის დათრგუნვა;
- დ) ლეიქორაგაცია, ელექტროლიტური დისბალანსი.

697. მიუთითეთ ხსნარი, რომლითაც უნდა ამორეცხონ კუჭი კალიუმპერმანგანატით მოწამვლისას:

- *ა) ასკობინმჟავას 1%-იანი ხსნარი;
- ბ) ტანინის 3%-იანი ხსნარი;
- გ) სოდის 5%-იანი ხსნარი;
- დ) ლიმონმჟავას 1%-იანი ხსნარი;
- ე) ტანინის 3%-იანი ხსნარი;
- ვ) სოდის 5%-იანი ხსნარი;
- ზ) ლიმონმჟავას 1%-იანი ხსნარი.

698. მკვავებით მძიმე მოწამვლის მანიფესტაციას არ ახასიათებს:

- ა) გელა სასუნთქი გზების, საყლაპავი მილისა და კუჭის ლორწოვანის დამწვრობის ნიშნები;
- ბ) ლებინება ჟანგისფერი ან სისხლის შემცველი მასით;
- გ) გაქიკარდია, არტერიული წნევის მაგება;
- *დ) შიპოთერმია, პოლიურია.

699. მკვავებით მძიმე მოწამვლის დროს პროგნოზს არ განსაზღვრავს:

- ა) ხახის შეშუპება;
- *ბ) სუნთქვის ცენტრის დათრგუნვა;
- გ) საყლაპავი მილის პერფორაცია, მედიასტინიტი;
- დ) კუჭის პერფორაცია და პერიტონიტი.

700. მკვავებით მოწამვლის დროს მიზანშეწონილი არ არის:

- *ა) ხელოვნური ლებინება და კუჭის ამორეცხვა სოდის ხსნარით;
- ბ) კუჭის ამორეცხვა წყლით და აღმაგელის მიცემა;
- გ) ანტიბიოტიკების დანიშვნა;
- დ) ჰორმონოთერაპია;
- ე) ფორსირებული დიურეზი;
- ვ) ანესთეზიის ემულსიის და ანტიბიოტიკების ინჰალაცია.

701. ქვემოაღნიშნული მახასიათებლებიდან რომელი არ არის სწორი გუტებით (კაუსტიკური სოდით, ამიაკის ხსნარით და სხვ.) მოწამვლის დროს?

- ა) დამახასიათებელია ლორწოვანი გარსების დაშლა და შხამის დრმა ქსოვილებში შეღწევა, ცხიმოვანი ქსოვილის "აქაფება";
- *ბ) მძიმე შოკი და ლეგალური გამოსავალი მოწამვლიდან პირველ საათებში არ არის მოსალოდნელი;
- გ) მოწამვლიდან მე-2-4 დღეზე მოსალოდნელია მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, მუცლის ტკივილი;
- დ) დამახასიათებელია საყლაპავი მილის სტენოზი.

702. გუტებით მოწამვლისას კუჭის ამორეცხვა სახლის პირობებში უმჯობესია:

- *ა) ოთახის გემპერატურის სუფთა წყალით;
- ბ) კალიუმპერმანგანატის სუსტი ხსნარით;

- გ) სოლიანი წყალით;
- ღ) წყალში გახსნილი ძმრით (განზავება 4 : 1).

703. მხუთავი აირით (ნახშირჟანგით) მოწამვლის ქვემოაღნიშნული კლინიკური გამოვლინებებიდან რომელი არ აღინიშნება პირველ სტადიაზე?

- ა) თავის ტკივილი;
- ბ) ლებინება;
- გ) მუცლის ტკივილი;
- ღ) ძლიერი საერთო სისუსტე;
- ყ) გონების დაკარგვა;
- *ვ) სახის მკვეთრი სიფერმკრთალე.

704. რომელი გართულება არ აღინიშნება მხუთავი აირით მწვავე მოწამვლის შემდეგ?

- ა) ანემია;
- ბ) ამავროზი;
- გ) ლემენცია;
- *ღ) ქვედა კიბურების დამბლა;
- ყ) ჰემიპლეგია;
- ვ) ოლიგოფრენია.

705. მკვეთრი ეფექტი მხუთავი აირით მოწამვლის შემთხვევაში ახასიათებს:

- *ა) ოქსიგენაციის 100%-იანი უზრუნველყოფით, სანამ კარბოქსიჰემოგლობინის შემცველობა დაიწვეს უხიფათო დონემდე (10%), ჰიპერბარულ ოქსიგენაციას;
- ბ) კრანოცერებრულ ჰიპოთერმიას
- გ) სისხლის შენაცვლებით გადასხმას;
- ღ) ფორსირებულ დიურეზს.

706. ალკოჰოლური მოწამვლის შემთხვევაში არ არის რეკომენდებული:

- ა) კუჭის ამორეცხვა მოწამვლიდან ერთი საათის განმავლობაში;
- ბ) ფორსირებული დიურეზი;
- გ) ფრუქტოზა-ინსულინის ხსნარის ინფუზია;
- *ღ) ბემეგრისის და ანალექტიკების დიდი დოზით დანიშვნა;
- ყ) ატროპინის შეყვანა კანქვეშ ჰიპერსალივაციისა და ბრონქორეის შესამცირებლად;
- ვ) კორტიკოსტეროიდების დანიშვნა.

707. რომელი სოკოთი მოწამვლას ახასიათებს ძალზე მძიმე მიმდინარეობა და არაკეთილსაიმელო პროგნოზი?

- ა) ალგილობრივი მოქმედების რიზოიდინის შემცველი სოკოთი;
- *ბ) ფალოიდინის შემცველი ჰეპატოტროპული სოკოთი;
- გ) ნეიროტროპული მოქმედების მუსკარინის შემცველი სოკოთი.

708. ქვემოაღნიშნული მახასიათებლებიდან რომელია არასწორი ჰეპატოტროპული სოკოთი მოწამვლის შემთხვევაში?

- ა) ლიანგოსტიკა ცუდად შეკრებილი ანამნეზის შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაძნელებულია;
- ბ) ბავშვთა ასაკში, ჩვეულებრივ ელინდება მძიმე და ელვისებრი ფორმები;
- გ) ლეიქის მძიმე დამიანების (მეორე) სტადიაზე ენერგიული სამკურნალო ჩარევაც კი ნაკლებად ეფექტურია;
- *ღ) ლაგენგური პერიოდი (სოკოს მიღებიდან კლინიკურ მანიფესტაციამდე) მოკლეა, არ აღემატება 2-4 სთ-ს.

709. ფალოიდინის შემცველი სოკოთი მოწამვლისას ლეგალურ გამოსავალს განსაზღვრავს:

- ა) მწვავე გასტროენტერიტი ექსიკოზით და ელექტროლიტური დისბალანსით;
- ბ) გოქსიკური ნეფროპათია ოლიგურიით, პროტეინურიითა და ამოტემით;
- *გ) ჰეპატარგიული კომა ჰემორაგიული გამოვლინებებით;
- ღ) გოქსიკური ენცეფალოპათია.

710. გველის ნაკბენით მოწამვლას არ ახასიათებს:

- ა) ანაფილაქსიური შოკი;
- ბ) კუნთების დამბლა;
- გ) ჰემოკოაგულაციის დარღვევა და სისხლჩაქცევები;
- *ღ) ლეიქორეა, ჰიპოვოლემიური შოკი;
- ყ) ლოკალური შეშუპება და ციანოზი ნაკბენის ადგილზე.

711. გველის ნაკბენით მოწამვლის დროს ყველაზე მნიშვნელოვანია:

- ა) ალგილობრივი განაკვეთი ან დასერვა;
- ბ) ნოვოკაინის ცირკულაციური ბლოკადა ნაკბენის ზემოთ;
- *გ) გველის შხამის საწინააღმდეგო პოლივალენტური შრაგის შეყვანა პირველ დღე-ღამის განმავლობაში;
- ღ) ჰეპარინისა და ჰიდროკორტიზონის დანიშვნა;

ე) ლებინგოქსიკაცია გლუკოზით და სისხლის შემცველებით.

712. რომელი ნივთიერებით მოწამვლისთვის არის პათოგნომონური შემდეგი კლინიკური გამოვლინებები: ჰიპოკალციემია, ტეტანია, კრისტალების გამოლექვა თირკმლებში, თირკმლის უკმარისობა?

- *ა) მჟაუნმჟავით;
- ბ) ძმრის ესენციით;
- გ) ლიქლოფოსით;
- დ) ნიკოტინით;
- ე) ფორმალინით.

713. რა არის საჭირო პირველ რიგში ფოსფოროორგანული ნაერთებით (ქლოროფოსით, ლიქლოფოსით) მოწამვლისას, თუ ასფიქსია არ აღინიშნება?

- ა) კუჭის ამორეცხვა სოლიანი წყლით;
- *ბ) აგროპინის დაუყოვნებლივ შეყვანა;
- გ) პრედნიზოლონის შეყვანა კუნთებში;
- დ) ანგიჰისტამინური პრეპარატებით ლაგვიროთვა.

714. მორიელის ნაკბენით მოწამვლის შემთხვევაში არ არის სწორი:

- ა) კლინიკური ნიშნები ვლინდება ადგილობრივი (ძლიერი ტკივილი, შეშუპება და ჰიპერემია) და ზოგადი ინტოქსიკაციის ნიშნებით;
- ბ) კლინიკურ გამოვლინებას განსაზღვრავს მორიელის შხამის ნეიროტოქსიკური და კარდიოტოქსიკური თვისებები;
- *გ) მკურნალობა მორიელის შხამის საწინააღმდეგო შრაგის გარეშე უიმელოა;
- დ) შეიძლება სხვა შრაგების ("ანგიკობრა", "ობობას შხამის საწინააღმდეგო") გამოყენებაც.

715. ფორსირებული დიურეზი ეფექტურია:

- ა) ამიგრიპტილინით მოწამვლისას;
- ბ) რკინის პრეპარატებით მოწამვლისას;
- გ) ლიგოქსინით მოწამვლისას;
- *დ) კლოფელინით მოწამვლისას.

716. ძმრის ესენციით მოწამვლას არ ახასიათებს:

- *ა) კუჭის და ნაწლავების პერფორაცია;
- ბ) გოქსიკური კოაგულოპათია, ჰემოლიზი;
- გ) გოქსიკური ნეფროპათია, თირკმლის მწვავე უკმარისობა;
- დ) გოქსიკური ჰეპატოპათია, ლვიძლის მწვავე უკმარისობა.

717. რომელი პრეპარატის გამოყენებაა მიზანშეწონილი მომაგებული აგზნებადობის და კრუნჩხვის საწინააღმდეგოდ ამინაზინით მოწამვლის დროს?

- ა) სიბაზონის;
- ბ) მაგნიუმსულფატის;
- *გ) ნატრიუმის ოქსიბუტირატის;
- დ) ფენობარბიტალის.

718. მიუთითეთ ანგილოგი, რომლის გამოყენება საჭიროა გყვიით და ბენზინის ეთილით (მეთილეთილგყვია) მოწამვლის დროს:

- ა) უნითოლი;
- *ბ) ტეტაცინ-კალციუმი;
- გ) მუკაპტილი;
- დ) ტრილონ-ბ.

719. ქვემოაღნიშნული სპეციფიკური ანგილოგებიდან რომელია არასწორად მითითებული?

- ა) მძიმე ლითონები და მეტალოიდები - უნითოლი;
- ბ) გყვიით მოწამვლა - ტეტაცინ-კალციუმი;
- გ) საგულე გლიკოზიდები - ტრილონ-ბ;
- *დ) ციანიდები და გოგირდწყალბად - პენიცილაზინი;
- ე) რკინის პრეპარატები - ლესფურალი.

720. ქვემოაღნიშნული ფარმაკოლოგიური ანგილოგებიდან რომელია არასწორად მითითებული?

- ა) აღრენალინი - ფენგოლაზინი+ანაპრილინი;
- ბ) აგროპინი - ფიზოსტიგმინი, პროზერინი;
- *გ) ოპიუმის პრეპარატები - ბემეგრილი, კოფეინი;
- დ) ფთივაზიდი (იზონიაზიდი) - პირილოქსინი ("B6" ვიტამინი);
- ე) კალიუმპერმანგანატი - ასკობინმჟავა ("B" ვიტამინი).

721. მწვავე ვირუსული რესპირაციული ინფექციით დაავადებულს აღნიშნება ცხვირიდან სისხლის დენა. სისხლდენის

კუპირებისთვის არ არის სწორი?

- ა) თავის უკან გადაწევა;
- ბ) თითებით ცხვირის ფრთების მიჭყლეტვა;
- გ) წყალბადის მექანიკით დასველებული ბამბით ცხვირის ნესტოების გამპონადა;
- *დ) ცხვირის ნესტოების ცივი წყლით გამორეცხვა.

722. ცხვირიდან სისხლის დენის დროს არ ინიშნება:

- ა) ლიცინონი;
- *ბ) ჰეპარინი;
- გ) კალციუმქლორიდის 5%-ანი ხსნარი;
- დ) ასკორუტინი.

723. ლორწოვანი გარსების ინგენსიური ვარდისფერი შესამჩნევია:

- ა) ცირკულაციური ჰიპოქსიის დროს;
- ბ) ჰიპოქსემიური ჰიპოქსიის დროს;
- *გ) ჰისტოტოქსიკური ჰიპოქსიის დროს;
- დ) ანემიური ჰიპოქსიის დროს;
- ე) ყველა სახის ჰიპოქსიის დროს გამოხატულია ციანოზი.

724. უჯრედული დეჰიდრაგაციის ყველაზე დამახასიათებელი სიმპტომია:

- ა) კუნთთა ჰიპოტონია;
- *ბ) წყურვილი;
- გ) კრუნჩხვა;
- დ) შეშუპება;
- ე) მომაგებული არტერიული წნევა.

725. ბარბიტურატების ჰიპერლომირების შემთხვევაში სუნთქვის დეპრესიის წინააღმდეგ გამოიყენება:

- ა) პრომელოლი;
- ბ) ღროპერილოლი;
- *გ) ბემეგრანი;
- დ) ნატრიუმის ოქსიბუტირატი;
- ე) ინდერალი.

726. აცილოზს განაპირობებს:

- ა) ჰიპერვენტილაცია;
- ბ) ლებინება;
- გ) ჰიპოკალიემია;
- *დ) ცირკულაციური ჰიპოქსია;
- ე) ჰიპოთერმია.

727. პოსტრენაიმაციული მდგომარეობის ძირითადი სინდრომია:

- ა) კრუნჩხვითი;
- *ბ) გოქსიკურ-დისტროფიული;
- გ) ალერგიული;
- დ) ანემიური;
- ე) არტერიული ჰიპერტონია.

728. ჰემატოკრიტი ნორმის ფარგლებშია:

- *ა) იზოტონური ექსიკოზის დროს;
- ბ) წყალდეფიციტური ექსიკოზის დროს;
- გ) მარილდეფიციტური ექსიკოზის დროს;
- დ) ჰემატოკრიტის ცვლილებები არ ახასიათებს ექსიკოზის არცერთ ფორმას.

729. ჰიპოკალციემიურ კრუნჩხვის განვითარებას ხელს უწყობს:

- ა) აცილოზი;
- *ბ) ალკალოზი;
- გ) ჰიპერკალიემია;
- დ) ჰიპოპროტეინემია;
- ე) ჰიპოვენტილაცია.

730. ალკალოზი ახასიათებს:

- ა) პიელონეფრიტს;
- ბ) შაქრიან დიაბეტს;
- *გ) გვინის სიმსივნეს მორეციდივე ლებინებით;

- დ) ლაიგუელ-ოლბრაიგის დაგეგმვა;
- ე) პნეემონიას.

731. მეტაბოლურ ალკალოზს განაპირობებს:

- ა) პროფუზული დიარეა;
- *ბ) პილოროსტენოზი;
- გ) კარბონჰიდრაზის ინჰიბიტორების ჰიპერლოზირება;
- დ) კარბონჰიდრაზის თანდაყოლილ ლეფციტი;
- ე) ჰიპერბილირუბინემია.

732. ჰიპოტონურ ლეჰიდრატიციას ახასიათებს:

- ა) პოლიდიფსია;
- ბ) არტერიული ჰიპერტონია;
- გ) ჰიპერრეფლექსია;
- დ) ბრადიკარდია;
- *ე) დაბალი არტერიული და ცენტრალური ვენური წნევა.

733. წყალფეციტურ ექსიკოზს ახასიათებს:

- ა) ცივი, პასტოზური კანი;
- *ბ) პოლიდიფსია;
- გ) ლიქორში ციგომისა და ცილის მომატება;
- დ) ჰიპონატრიემია;
- ე) პოლიურია.

734. ჰიპერტონურ ლეჰიდრატიციას ახასიათებს:

- ა) ყიფილიანდის დაჭიმვა;
- ბ) ჰიპოთერმია;
- გ) დაქვეითებული არტერიული წნევა;
- *დ) ლორწოვანების სიმშრალე;
- ე) ჰიპონატრიემია.

735. მიკროციტოკლაზის დარღვევის დასახასიათებლად ყველაზე ინფორმაციული მაჩვენებელია:

- ა) ჰემოგრამა;
- ბ) პულსის სიხშირე;
- *გ) ლიურები;
- დ) ცენტრალური ვენური წნევა;
- ე) არტერიული წნევა.

736. ჰიპოტონური ჰიპერჰიდრატიციის ძირითადი მაჩვენებელია:

- ა) არტერიული ჰიპერტენზია;
- ბ) ცენტრალური ვენური წნევის მდგრადი მომატება;
- გ) ფილტვის შეშუპება;
- *დ) პერიფერიული შეშუპებები;
- ე) ჰიპერელექტროლიტემია.

737. ჰემოლიზურ-ურემიულ სინდრომს არ ახასიათებს:

- ა) ანემია;
- ბ) ოლიგურია;
- გ) თრომბოციტოპენია;
- *დ) შრატში კონიუგირებული ბილირუბინის მომატება;
- ე) პროტეინურია.

738. ჰაერგამგარი გზების დისკალურ მესამელში (ბრონქებში) არსებულმა უცხო სხეულმა შეიძლება გამოიწვიოს ქვემოთ ჩამოთვლილი დარღვევები, გარდა:

- ა) პნეემონიის;
- ბ) ინსპირატორული სტრიდორის;
- გ) დაზიანებულ მხარეზე მზარდი ემფიზემის;
- დ) ატელექტაზის;
- *ე) დაზიანებულ მხარეს დიაფრაგმის მაღალი დგომის, რომელიც გამოვლინდება რენტგენოგრაფიაზე ავალმეოფის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გადაღებისას.

739. ჩამოთვლილი ნიშნებიდან რომელი არ მიუთითებს ასთმის სტატუსის განვითარებაზე:

- ა) ანამნეზში ტრაქეის ინტუბაციის არსებობა;
- *ბ) PF_{O2} ნაკლები 40 მმ. ვწყ. სვ;

- გ) სტეროიდების მუღმივი გამოყენება;
- დ) ფსიქიური მდგომარეობის შეცვლა;
- ე) მზარდი მსგვინავი სუნთქვა და ქოშინი 4 დღის განმავლობაში.

740. რა წარმოადგენს ფილტვის შეშუპების ყველაზე ადრეულ ნიშანს რენტგენოგრაფიაზე?

- ა) ალვეოლური შეშუპება;
- *ბ) "ცეფალიზაცია";
- გ) ინტერსტიციალური შეშუპება;
- დ) კერლის ხაზი;
- ე) პერიპილუსური ინფილტრაცია.

741. ყველა მტკიცება სპონტანურ პნევმოთორაქსთან მიმართებაში სამართლიანია, გარდა:

- ა) ყველაზე სშირად გვხვდება 20-40 წლის მამაკაცებში;
- *ბ) სარქველოვანი პნევმოთორაქსის დროს ხდება გრაქეის ცლომა კოლაბირებული ფილტვის მხარეს;
- გ) ქალებში მენსტრუაციის პერიოდში შეიძლება განვითარდეს სპონტანური პნევმოთორაქსის განმეორებითი ეპიზოდი;
- დ) ხშირად ავადლებიან მწვევლები;
- ე) არსებობენ გენეტიკურად "ლაგვირთული" პირები.

742. ჩამოთვლილი მდგომარეობებიდან რომელს უფრო ნაკლებად ახასიათებს ფილტვის ემბოლია?

- ა) გულის დაავადებები;
- ბ) ავთვისებიანი სიმსივნეები;
- *გ) 70 წელზე უფროსი ასაკი;
- დ) ესტროგენებით მკურნალობა;
- ე) იმობილიზაცია.

743. რომელი ნიშანია უფრო მეტად დამახასიათებელი სარქველოვანი პნევმოთორაქსისათვის?

- ა) გულმკერდის რენტგენოგრაფიაზე შუასაყარის ცლომა;
- ბ) გრაქეის ცლომა ღამიანების მხარეს;
- გ) ბრადიკარდია;
- *დ) კისრის ვენების დაბერვა;
- ე) ჰიპერტენზია.

744. რა დგას მეორე ადგილზე რენტგენოლოგიური ნიშნებიდან ფილტვის ემბოლიის დროს?

- ა) ვესტერმარკის სინდრომი;
- ბ) ინფილტრატი;
- *გ) დიაფრაგმის გუმბათის აწევა;
- დ) ხამპტონის სიმპტომი (ფილტვის სოლისებური ინფარქტი);
- ე) ფილტვის ფესვის გაფართოება.

745. ფილტვის არტერიის ემბოლიის დროს ნახევარზე მეტ შემთხვევაში გვხვდება ჩამოთვლილი სიმპტომები, გარდა:

- *ა) ციანოზის;
- ბ) პლევრის მიდამოს ტკივილის;
- გ) ქოშინის;
- დ) ხველის;
- ე) 16-ზე მეტი სუნთქვის სიშირის;

746. რომელი მიკრობი იწვევს ყველაზე ხშირად პლევრალურ გამონაჟონს (ექსუდაციურ პლევრიტს)?

- ა) შტაპჰილოცოცუს აურენს;
- ბ) Lეგიონელა;
- *გ) შტეპტოცოცუს პნევმონიაე;
- დ) Hაემოპილუს ინფლუენზა;
- ე) Kლესიელა.

747. ჩამოთვლილებიდან რომელია სარწმუნო ფილტვის ასპირაციასთან დაკავშირებით?

- ა) ნაჩვენებია ფართო სპექტრის ანტიბიოტიკები;
- ბ) ნაჩვენებია სტეროიდული თერაპიის დაუყოვნებლივ დანიშვნა, რათა შეამციროს მკავის ზემოქმედებით გამოწვეული ფილტვის დესტრუქცია;
- გ) ყველა პაციენტისათვის ნაჩვენებია დაუყოვნებელი ინტუბაცია და ასპირირებული მასების სანაცია;
- დ) ნაზო-გასტრალური მონდის საშუალებით ამოაქეთ კუჭის შიგთავსი, რათა თავიდან აიცილონ მისი ხელმეორედ ასპირაცია;
- *ე) ბრონქოსპაზმის მკურნალობისათვის ნიშნავენ ბრონქოდილატატორებს.

748. რომელი ნიშანია უფრო მეტად დამახასიათებელი პნევმოცისტის ცარიინი-თ გამოწვეული პნევმონიისათვის?

- ა) გამომწვევი ადვილად გამოიყოფა ავადმყოფის ორგანიზმიდან და ადვილად კულტივირდება;
- ბ) ხშირად იწვევს წილოვან პნევმონიას;

- გ) ის კარგად ემორჩილება ინგრავენურად სულფაგრამეგოპრემით (ბაქტერიით) მკურნალობას;
- დ) გვხვდება მხოლოდ შიდათი დაავადებულ პაციენტებში;
- *ე) პნევმოცისტისგურ პნევმონიაზე ეჭვის შემთხვევაში აუცილებელია გამოირიცხოს ტუბერკულოზი და აგიაპური მიკრობაქტერიებით გამოწვეული დაავადებები.

749. ყველა ჩამოთვლილი მტკიცება მიკოპლაზმურ პნევმონიასთან დაკავშირებით, სამართლიანია, გარდა:

- ა) რენტგენოლოგიური გამოკვლევა იძლევა მეტ ინფორმაციას, ვიდრე კლინიკური სურათი;
- ბ) ხშირად გვხვდება მოზარდებსა და ახალგაზრდა პირებში;
- გ) გართულებები არ ახასიათებს;
- დ) ხშირად შერწყმულია დაფის აპკის ბულოზურ ანთებასთან და შუა ოტიტთან;
- *ე) პათოგენომურს წარმოადგენს დაღებითი ტესტი სიცვიის აგლუტინინებზე.

750. რომელი ანტიბიოტიკია უფრო უმჯობესი მიკოპლაზმური პნევმონიის მკურნალობისათვის?

- ა) ცეფუროქსი;
- ბ) გრიმეტოპრიმი სულფომეტოქსაზოლი (ბაქტერიმი);
- გ) ამოქსილინი;
- *დ) ერითრომიცინი;
- ე) ანტიბიოტიკები არ არის ნაჩვენები.

751. ყველა ჩამოთვლილი მტკიცება პნევმოცისტის ცარიინი-თ გამოწვეულ პნევმონიასთან დაკავშირებით სამართლიანია, გარდა:

- ა) ხშირად გვხვდება ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფიცირებულებში და სხვა პაციენტებში იმუნოდეფიციტური მდგომარეობების დროს;
- *ბ) გამომწვევის ეს სახე იშვიათად გვხვდება;
- გ) ლეიკოციტების რაოდენობა სისხლში შეიძლება იყოს ნორმალური, მომატებული და შემცირებული;
- დ) ხშირად თან ახლავს შიპოქსემია;
- ე) რენტგენოგრაფიული სურათი სხვადასხვაგვარია.

752. კლინიკაში შემოვდა 28 წლის ქალი ასთმის მწვავე შეტევით. სალბუტამოლის პირველი ინჰალაციის შემდეგ მოხდა უმნიშვნელო გაუმჯობესება, მაგრამ რჩებოდა ქოშინი და დიფუზური მსტინაფი ხიხინი გასინჯვისას. ამ მკურნალობასთან ერთად, კიდევ რომელი პრეპარატია უფრო მეტად მიზანშეწონილი?

- ა) ეპინეფრინი (ადრენალინი) კანქვეშ;
- ბ) მეტაპროტერენოლის (ალუპენგის) ინჰალაცია;
- გ) თერბუტალინი კანქვეშ;
- დ) თეოფილინი ინგრავენურად;
- *ე) პრედნიზოლონი პარენტერალურად.

753. ყველა ჩამოთვლილი მტკიცება ფილტვების მალაღმთიან შეშუპებასთან დაკავშირებით სამართლიანია, გარდა:

- ა) მალაღმთიან პირობებში მყოფი ხალხისათვის ეს არის სიკვდილის უხშირესი მიზეზი;
- *ბ) შეიძლება განვითარდეს 1 500მ-ზე მეტი ზღვის დონიდან;
- გ) წარსულში მსგავსი ეპიდემიის არსებობა წარმოადგენს რისკფაქტორს;
- დ) ამ დროს ფილტვებში პრეკაპილარული წნევა არ იზრდება;
- ე) რენტგენოლოგიური სურათი ისეთივეა, როგორც ფილტვების კარდიოგენული შეშუპების დროს.

754. პირველი დახმარება ფილტვების მალაღმთიანი შეშუპების დროს არის:

- ა) 100% O₂- ის მიწოდება ნიღბით;
- ბ) აცეტაზოლამიდი (დიაკარბი) ტაბლეტებში 200 მგ 4-ჯერ დღეში;
- გ) ნიფედიპინი (კორინფარი) ტაბლეტებში 10-20 მგ 3-ჯერ დღეში;
- დ) ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია ამოსუნთქვის ბოლოს დაღებითი წნევის რეჟიმით;
- *ე) პაციენტის დაუყოვნებელი ჩამოყვან ქვემოთ, დაბალ სიმაღლეზე.

755. ყველაზე მეტად ხშირი პირობა, რომელმაც შეიძლება განაპირობოს ფილტვის ემბოლიის განვითარება, არის:

- *ა) დრმა ვენების დაღასგურებული თრომბოზი;
- ბ) ხანგრძლივი იმობილიზაცია;
- გ) ახალგაზრდა ჩატარებული ორთოპედიული ოპერაცია;
- დ) გასუქება (გაცხიმოვნება);
- ე) ფილტვის ემბოლიის არსებობა წარსულში.

756. ატროპინს შეუძლია შეამციროს ფოსფორორგანული ნაერთებით მოწამელის ყველა სიმპტომი, გარდა:

- ა) ბრონქორეისა;
- ბ) ნერწყვის ღენისა;
- *გ) კუნთების სისუსტისა;
- დ) ღიარეისა;
- ე) ცრემლდენისა.

757. ყველა ჩამოთვლილი პრეპარატი ეფექტურად უკავშირდება გააქტივებულ ნახშირს, გარდა:

- ა) აცეტამინოფენი;
- ბ) ტრიციკლური ანტიდეპრესანტები;
- *გ) რკინის პრეპარატები;
- დ) თეოფილინი;
- ე) სალიცილატები.

758. ყველა ჩამოთვლილი სიმპტომი ტრიციკლური ანტიდეპრესანტების დოზის გადაჭარბებისას კორეგირდება მკურნალობის შემდეგი მეთოდებით, გარდა:

- ა) Qღმ კომპლექსის გაფართოება ეკგ-ზე - ნატრიუმის ჰიდროკარბონატით;
- ბ) არტერიული ჰიპოტენზია - ნატრიუმის ქლორიდის იზოტონური ხსნარით, ნორადრენალინით;
- *გ) კომა - ფიმოსტიგმინით;
- დ) კრუნჩხვები - ბენზოლიამპინით;
- ე) სედაცია - გრაქეის ინგუბაციით.

759. ავთვისებიანი ნეიროლეპტური სინდრომისათვის დამახასიათებელია ყველა ქვემოთ მოყვანილი ნიშანი, გარდა:

- *ა) ჰიპოთერმიის;
- ბ) კუნთების რიგილობის;
- გ) ცნობიერების დარღვევის;
- დ) ვეგეტატიური ფუნქციების მოშლის;
- ე) რაბდომიოლიზის (ჩონჩხის კუნთების მწვავე ნეკროზი).

760. ნეიროლეპტიკების დიდი დოზის მიღების შემდეგ პაციენტს შეიძლება განუვითარდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომი, გარდა:

- ა) ზერეულ სედაციას;
- *ბ) გუგების გაფართოების;
- გ) არტერიული ჰიპოტენზიის;
- დ) რენგენოპოზიტიური ლაქების მუცლის ღრუს რენგენოგრაფიაზე;
- ე) არითმიის.

761. რომელი ქმედებაა უფრო მნიშვნელოვანი ბარბიტურატებით მძიმე მოწამვლის დროს?

- ა) გააქტივებული ნახშირის დიდი დოზებით მიცემა;
- ბ) ტუტე ხსნარების შეყვანა შარდის გატეჯიანების მიზნით;
- *გ) ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია;
- დ) გულს მუშაობის მონიტორინგი;
- ე) ჰემოდიალიზი.

762. რომელ ჩამოთვლილ ოპიატს შეუძლია გამოიწვიოს კრუნჩხვები?

- ა) იქსიკოლონი (სინთეზური მორფინი);
- *ბ) მეპერიდინი;
- გ) დექსოტრომეტროფინი;
- დ) მორფინი;
- ე) პენტამოცილი (მორფინის აგონისტ-ანტაგონისტი).

763. პრეპარატის ფარმაკოკინეტიკურ თვისებას, რომელიც საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას ჰემოდიალიზი მისი გამოყოფისათვის, მიეკუთვნება ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) შედარებით არაღივი მოლეკულური მასის (500 დალტონზე ნაკლები);
- ბ) გავრცელების მცირე მოცულების (1 ლ/კგ-ზე ნაკლები);
1645. გულის უკმარისობის მკურნალობისას კარდიოტონური პრეპარატების გამოყენება უკუნაჩვენებია ახალშობილებში:

- ა) გულის თანდაყოლილი მანკებით;
- ბ) მთკარდიუმის გრანზიგოტოური დისფუნქციით;
- *გ) ასიმეტრიული ჰიპერტროფიული კარდიომიოპათიით;
- დ) მოფუნქციე არტერიული სადინარით.

1646. ახალშობილ ბავშვებში ბრადიკარდიის წინააღმდეგ შეიძლება გამოყენებული იყოს:

- ა) ატროპინი;
- ბ) იზადრინი;
- გ) აღრენალინი;
- *დ) ყველა ჩამოთვლილი.

1647. ახალშობილების ტაქიკარდიის სუპრავენტრიკულური ფორმის მკურნალობისას გამოყენებული უნდა იყოს:

- ა) იზადრინი;
- *ბ) იზოპტინი;
- გ) კალციუმის გლუკონატი;
- დ) აღრენალინი.

1648. გამოსხივების გზით სითბოს დანაკარგის ინგენსივობა დამოკიდებულია პირველ რიგში:

- ა) ინკუბატორში ჰაერის ტემპერატურაზე;
- *ბ) პალატაში ჰაერის ტემპერატურაზე;
- გ) ინკუბატორში ჰაერის ტენიანობაზე;
- დ) იმ ლეიბის ტემპერატურაზე, რომელზეც ბავშვი წევს.

1649. დროულ ახალშობილს შეუძლია უპასუხოს სიცოცხლისმიერ სტრესს მეტაბოლიზმის ინგენსივობის გაზრდით:

- *ა) სიცოცხლის მე-15 წუთიდან;
- ბ) სიცოცხლის მე-12 საათიდან;
- გ) სიცოცხლის 28-ე საათიდან;
- დ) სიცოცხლის პირველი კვირის ბოლოდან.

1650. ასფიქსიაში დაბადებულ ახალშობილთა წარმატებული რეანიმაციის პირობას წარმოადგენს:

- ა) "აპგარის" შკალით შეფასების აღქვადგურობა;

ბ) რეანიმაციული ღონისძიებების მოცულობის შესაბამისობა აპგარის შკალით სიცოცხლის პირველი წუთის ბოლოს შეფასებასთან;

გ) რეანიმაციული ღონისძიებების ჩატარებისას აღექვატური ტემპერატურული რეჟიმის შენარჩუნება;

*დ) ყველა ჩამოთვლილი.

1651. სპონტანური სუნთქვის აღდგენამდე ან მის შეცვლამდე ფილგეების ხელოვნური ვენტილაციის დროს ჭიპლარის ვენაში მიზანშეწონილი არ არის შევიყვანოთ:

ა) გლუკოზის 10% ხსნარი;

ბ) ნატრიუმის ჰიდროკარბონატის 4% ხსნარი;

გ) ჰორმონული პრეპარატები;

*დ) ჩამოთვლილიდან არც ერთი.

1652. მედიკამენტური დეპრესიის მდგომარეობაში დაბადებული ბავშვისათვის აუცილებელია: 1. მეღა სასუნთქი გზების სანაჯის ჩატარება, გრაქეის ინტუბაცია და ფილგეების ხელოვნური ვენტილაციის დაწყება; 2. ჭიპლარის ვენაში ეტიმიზოლის, პრედნიზოლონის, 10% გლუკოზის შეყვანა; 3. კუნთში ნალორფინის შეყვანა.

ა) სწორია ყველა;

*ბ) სწორია 1,3;

გ) სწორია 1,2.

1653. ახალშობილი ბავშვის ცხვირის გასაფლავების სანაჯისათვის კათეტერის დიამეტრი უნდა იყოს:

*ა) 1-2 მმ;

ბ) 3-4 მმ;

გ) 5-6 მმ;

დ) 8-10 მმ.

1654. ახალშობილის პირხახის სანაჯისათვის კათეტერი შეყვანილი უნდა იყოს შემდეგ სიღრმეში:

ა) 2 - 3 სმ;

*ბ) 5 - 7 სმ;

გ) 8 -10 სმ;

დ) 12-15 სმ.

1655. ახალშობილის სასუნთქი გზების სანაჯისას სისტემაში ოპტიმალური წნევა უნდა შეადგენდეს:

*ა) 0,3-0,4 ატმ.;

ბ) 0,5-0,6 ატმ.;

გ) 0,7-0,8 ატმ.;

დ) 0,9-1,0 ატმ.

1656. ახალშობილის მეღა სასუნთქი გზების სანაჯისას ლორწოს ასპირაციის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს:

*ა) 10-15 წამს;

ბ) 30-40 წამს;

გ) 50-60 წამს;

დ) 1-1,5 წუთს.

1657. მეღა სასუნთქი გზების სანაჯისას უარყოფითი ეფექტების შემცირებისათვის, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ:

ა) თ-ს მაგვარი სამკაპი;

ბ) ხვრელი ელექტროამომწოვის მილში;

გ) D-ეე L-ეე-ის კათეტერი;

*დ) ყველა პასუხი სწორია.

1658. სუნთქვის მძიმე უკმარისობის შემთხვევაში მეღა სასუნთქი გზების სანაჯამდე ბავშვს საჭიროა აუცილებლად:

ა) შეუყვანონ ვენაში ჰიდროკორტიზონი;

ბ) შეუყვანონ ვენაში გამა-ოქსიერბომქაეა;

*გ) ჩაუტარონ ოქსიგენაცია 100% უანგბადით;

დ) ჩაუტარონ ყველა ჩამოთვლილი ღონისძიება.

1659. ახალშობილის გრაქეის ამორეცხვისთვის ნატრიუმის ქლორიდის იზოტონური ხსნარის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს:

*ა) 1-2 მლ;

ბ) 4-5 მლ;

გ) 8-10 მლ;

დ) 15 მლ.

1660. ახალშობილს, რომელიც დაიბადა მეკონიუმის ასპირაციის სინდრომით, გრაქეის ინტუბაციამდე წინასწარი ოქსიგენაცია უნდა ჩაუტარდეს:

ა) სახის ნიღბის საშუალებით;

- ბ) ქანგბადის კარავის საშუალებით;
- გ) ცხვირის კათეგორის საშუალებით;
- *დ) არ უნდა ჩაუტარდეს.

1661. ახალშობილი ბავშვისათვის, რომელსაც უტარებოდა ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია, ექსტუბაციის კრიტერიუმს წარმოადგენს:

- ა) PaO_2 60 მმ ვ.წ.სვ.-ზე მეტი;
- ბ) სუნთქვის პათოლოგიური გიპების არარსებობა;
- გ) ტრაქეის თავისუფალი გამავლობა და ხველის რეფლექსის არსებობა;
- *დ) ყველა ჩამოთვლილი.

1662. გულის არაპირდაპირი მასაჟი ნაჩვენებია:

- ა) გულის გაჩერებისას;
- ბ) ბრაღიკარდიისას, წუთში 60-ზე ნაკლები შეკუმშვებისას;
- გ) მკვეთრად გამოხატული ბრაღიარითმიის დროს;
- *დ) ყველა ჩამოთვლილი მდგომარეობის დროს.

1663. გულის ღრუში აღრენალინის შესაყვანად პუნქციას აწარმოებენ:

- ა) მე-2 ნეკნთაშორის არეში;
- *ბ) მე-3 ნეკნთაშორის არეში;
- გ) მე-4 ნეკნთაშორის არეში;
- დ) მე-5 ნეკნთაშორის არეში.

1664. სისხლის შენაცვლებითი გადასხმის ოპერაცია შეიძლება გართულდეს:

- ა) კარის ვენის თრომბოზით;
- ბ) ფილტვის არტერიის ჰაეროვანი ემბოლიით;
- გ) მეტაბოლური ცვლილებებით;
- *დ) ყველა პასუხი სწორია.

1665. მწვავე სისხლკარგვის შედეგად განვითარებული შოკის კლინიკური სურათი ხასიათდება:

- ა) ტაქიკარდიით;
- ბ) ქოშინით;
- გ) ქანგბადზე რეაქციის არარსებობით;
- *დ) ყველა ჩამოთვლილი სიმპტომით.

1666. ახალშობილებში ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის ჩატარების დროს $PaCO_2$ უეცარი მომატება შეიძლება დაკავშირებული იყოს:

- ა) დაჭიმული პნევმოთორაქსის განვითარებასთან;
- ბ) ენდოტრაქეალური მილის ბლანჯი ლორწოთი ობტურაციასთან;
- გ) სუნთქვითი კონტურის ჰერმეტიზმის დარღვევასთან;
- *დ) ყველა ჩამოთვლილ ფაქტორთან.

1667. ფილტვების ხელოვნური ვენტილაციაზე მყოფ ახალშობილში ჰიპერკაპნიის საწინააღმდეგოდ, ($PaCO_2 = 80$ მმ ვ.წ.სვ.), შეიძლება გამოვიყენოთ:

- ა) სუნთქვის სიხშირის გაზრდა;
- ბ) ჩასუნთქვის ბოლოს მაქსიმალური წნევის მომატება;
- გ) ამოსუნთქვის ბოლოს დაღებითი წნევის შემცირება;
- *დ) ყველა მათგანი.

1668. ჰიალინური მემბრანების დაავადების მქონე ახალშობილისათვის, რომელსაც უტარებდა ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია, ჰიპოქსემიის წინააღმდეგ ($PaO_2 = 35$ მმ ვ.წ.სვ.), შეიძლება:

- ა) ამოსუნთქვის ბოლოს დაღებითი წნევის მომატება;
- ბ) ჩასუნთქვის დროის გაზრდა;
- გ) ქანგბადის კონცენტრაციის მომატება;
- *დ) ყველა მათგანი.

1669. ფილტვების ხელოვნური აღექვატური ვენტილაციის პირობებში გულის არაპირდაპირი მასაჟის ჩვენებაა იმგვარი ბრაღიკარდია (80-ზე ნაკლები წუთში), რომელიც გრძელდება:

- *ა) 30-60 წამს;
- ბ) 2 - 3 წუთს;
- გ) 4 - 5 წუთს;
- დ) 10 წუთს.

1670. ახალშობილ ბავშვებში არითმიების განვითარების მიზეზს წარმოადგენს:

- ა) ჰიპოქსემია;
- ბ) კორონარული სისხლის მიმოქცევის დარღვევა;
- გ) ჰიპერკალიემია, ჰიპოკალციემია;
- *დ) ყველა ჩამოთვლილი.

1671. ახალშობილ ბავშვებში სუპრავენტრიკულური პაროქსიზმული ტაქიკარდიის შეტევის შეწყვეტა შეიძლება:

- ა) ლიგოქსინით;
- ბ) იზოპტინით;
- გ) დეფობრილაციით;
- *დ) ნებისმიერი ჩამოთვლილი ხერხით.

1672. კანის საფარველის ციანოზი ვითარდება, როდესაც ჰემოგლობინის ქანგბალით გაჯერება ნაკლებია:

- ა) 45%-ზე;
- ბ) 65%-ზე;
- *გ) 85%-ზე;
- დ) 95%-ზე.

1673. ჰიპოქსემიის სიმძიმე უფრო მჭიდროდ კორელირებს სხეულის შემდეგი მიდამოს ციანოზთან

- ა) კანის საფარველის;
- *ბ) ტუჩის და ენის;
- გ) ფრჩხილის საწოლის;
- დ) ტუჩ-ცხვირის სამკუთხედის.

1674. დღესათვის ახალშობილებში არგერიული სადინარის ფარმაკოლოგიური დახურვისათვის გამოიყენება:

- ა) გოლაზოლინი;
- *ბ) ინდომეტაცინი;
- გ) პროსტაგლანდინი E2;
- დ) ნებისმიერი ჩამოთვლილი.

1675. ახალშობილ ბავშვში პაროქსიზმული ტაქიკარდიის შეტევის მოხსნისას ლიგოქსინის უეფექტობის შემთხვევაში გამოიყენება

- ა) აგროპინი;
- *ბ) იზოპტინი;
- გ) დოპამინი;
- დ) ჩამოთვლილი პრეპარატებიდან ნებისმიერი.

1676. როდესაც PaO_2 30 მმ ვ.წ.სვ.-ზე ნაკლებია:

- *ა) მცირდება გულის სისტოლური მოცულობა და გვინის სისხლის მიმოქცევა;
- ბ) იზრდება გულის სისტოლური მოცულობა და გვინის სისხლის მიმოქცევა;
- გ) გულის სისტოლური მოცულობა მცირდება, გვინის სისხლის მიმოქცევა იზრდება;
- დ) გულის სისტოლური მოცულობა და გვინის სისხლის მიმოქცევა უცვლელი რჩება.

1677. ბავშვებში დისლოკაციური სინდრომის განვითარების ნიშნებია: 1. ცნობიერების დაბინდვა, სუნთქვის რიტმის დარღვევა; 2. გუგის რეაქციის დათრგუნვა; 3. კისრის კუნთების რიგილობა, ჰემიპარეზის განვითარება.

- ა) სწორია ყველა;
- ბ) სწორია 1,3;
- *გ) სწორია 1,2.

1678. მწვავე მასგენოზირებული ლარინგო-ტრაქეიტი ბავშვებში ხასიათდება: 1. ხმის ტემბრის შეცვლით, მყუფარე ხველი 2. გახანგრძლივებული ამოსუნთქვით; 3. ჩასუნთქვისას ნეკნთაშუა სივრცეების შეზღუდვით.

- ა) სწორია ყველა;
- *ბ) სწორია 1,3;
- გ) სწორია 1,2

1679. იოგთა ქვეშა შემუკების დროს ბავშვებში ყველაზე უეფექტურია:

- ა) ლიურეტიკები;
- ბ) 5% - იანი გლუკოზა;
- გ) სიმპათომიმეტიკები;
- *დ) დაგენიანებული ქანგბალით ინჰალაცია.

1680. კრუპის III ხარისხის დროს დანოტივებული ქანგბალით ინჰალაციის დრო უნდა იყოს:

- ა) 15 წთ;
- ბ) 30 წთ;
- გ) 1 სთ;
- დ) 2 სთ;

*ე) პროლექტიული ხეელის წარმოქმნამდე.

1681. ბავშვებში დიაბეტური კომის თერაპიის ძირითადი ამოცანაა:

- *ა) შევამციროთ შაქრის კონცენტრაცია სისხლში, შევამციროთ უჯრედული ლეჰიდრატაცია და კეტოაცელოზი;
- ბ) ჩავატაროთ შეშუპების საწინააღმდეგო თერაპია;
- გ) სასწრაფოდ დავიწყოთ ხელოვნური სუნთქვა-ჰიპერვენტილაციით;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

1682. დღენაკლულ ბავშვებში რესპირატორულ-დისტრეს სინდრომი გამოწვეულია:

- ა) ალვეოლების მცირე დიაპეგრით;
- *ბ) საწყისი სურფაქტანგის ლეფიციტით;
- გ) ალვეოლთა მცირე რაოდენობით;
- დ) ჰიპოვოლემიით;
- ე) ყველა მათგანი.

1683. 1,5 წლამდე ასაკის ჯანმრთელი ბავშვის კაპილარულ სისხლში PO₂ - გლია:

- *ა) 86 მმ. ვერცხლ. წყ. სვ;
- ბ) 92 მმ. ვერცხლ. წყ. სვ;
- გ) 95 მმ. ვერცხლ. წყ. სვ;
- დ) 98 მმ. ვერცხლ. წყ. სვ.

1684. ბავშვებში ობსტრუქციული სინდრომის განვითარებისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს:

- ა) ბრონქოსპაზმს;
- ბ) ბრონქების ლორწოვანის შეშუპებას;
- გ) ლორწოს ჰიპერსეკრეციას;
- *დ) ფილტვის ფუნქციურ შენგს;
- ე) სწორია ბ და გ.

1685. მძიმე ბრონქული ასთმის შეტევის მკურნალობა სასურველია დავიწყოთ:

- *ა) ეენამი სიმპატომიმეტიკების შეყვანით (აღრენალინი, ალუპენტი);
- ბ) ეუფილინით;
- გ) ჰორმონით;
- დ) სიმპატომიმეტიკების ინჰალაციით.

1686. მენინგოკოკემიის სიმძიმეს განსაზღვრავს:

- ა) სისხლძარღვთა ენდოთელიის დაზიანება;
- ბ) არტერიული წნევის დაქვეითება;
- *გ) თრომბოციტოზი და სინდრომის და "შოკური ფილტვის" განვითარება;
- დ) თრომბოციტების რაოდენობის შემცირება.

1687. მენინგოკოკემიის დროს ცენტრალური სისხლისმიმოქცევის მაჩვენებლები ხასიათდება:1. დაბალი საერთო პერიფერიული წინააღმდეგობით;2. მაღალი საერთო პერიფერიული წინააღმდეგობით;3. დაბალი ცენტრალური ვენური წნევით;

- ა) სწორია ყველა;
- *ბ) სწორია 1,3;
- გ) სწორია 1,2.

1688. მენინგოკოკემიის დროს ჰოსპიტალიზაციამდე პირველ რიგში საჭიროა შევიყვანოთ:

- ა) საგულე გლიკოზიდები, ანტიბიოტიკები, ჰორმონი;
- *ბ) ანტიბიოტიკი, ჰორმონი, აღრენომიმეტიკი;
- გ) ეუფილინი, ანტიბიოტიკი, ანტიჰისტამინური ჰორმონი.

1689. ასთმური სტატუსის საწყისი სტადიის დიაგნოზი ისმება შემდეგ საფუძველზე:1. შეტევის ხანგრძლივობა და ქოშინის გამობატვლება;2. სიმპატომიმეტიკებისაღმი გოლერანგობა;3. არაეფექტური ხეელის გამოვლინება;

- ა) სწორია ყველა;
- *ბ) სწორია 2,3;
- გ) სწორია 1,2.

1690. ასთმურ სტატუსს ბავშვებში აუცილებელია ვუმკურნალოთ მეთილქსანტინებით:

- ა) ისინი ყველაზე ეფექტური ბრონქოლიტატორებია;
- *ბ) ისინი ეფექტურია აღრენორეცეპტორების სიმპატომიმეტიკების მიმართ ბლოკადის დროს;
- გ) მათ ახასიათებთ ნაკლები კარდიოტოქსიური ეფექტი, ვიდრე სიმპატომიმეტიკებს;

1691. ეუფილინის ჰიპერდოზირების პირველი ნიშანია:

- ა) არტერიული წნევის დაქვეითება;

- *ბ) თავის ტკივილი, მუცლის ტკივილი, ლებინება;
- გ) ჰიპერტენზია;
- დ) გულის რიტმის დარღვევა.

1692. მზგერავი იოგების შემუშავების დროს ყველაზე საუკეთესო ეფექტი შეიძლება მივიღოთ:

- ა) შარდმდენებით;
- ბ) 5%-იანი გლუკოზით;
- გ) სიმპაგომიმეტიკებით;
- *დ) დანოტივებული ქანგბადის ინჰალაციით.

1693. ქალა-ტვინის მძიმე ტრავმა ბავშვებში ხასიათდება:

- ა) მგრძობილობის დარღვევით მამოძრავებელი და ქალა-ტვინის ნერვების ფუნქციის დარღვევით;
- ბ) თვალის ფსკერზე ცვლილებით;
- გ) ლიქორის მაღალი წნევით;
- დ) სისხლის ბიოქიმიური შემადგენლობის ცვლილებით;
- *ე) ყველა მათგანით.

1694. ახალშობილებში ობსტრუქციული სინდრომის ხშირი განვითარება დაკავშირებულია: 1. ბრონქებში კუნთოვანი ქსოვილის დეფიციტთან; 2. ტერმინალური ბრონქოლების სივიწროვებთან; 3. სასუნთქი კუნთების სისუსტესთან. 4. ფილტვების მორფოლოგიური სტრუქტურის უმწიფრობასთან;

- ა) სწორია ყველა;
- ბ) სწორია 1,3;
- *გ) სწორია 1,2.

1695. ბავშვებში სასუნთქი აპარატი ფუნქციურად სრულყოფილი ხდება შემდეგ ასაკში:

- ა) 1-10 წლამდე;
- ბ) 11-12 წლამდე;
- გ) 14-16 წლამდე;
- *დ) 4-8 წლამდე.

1696. ბავშვებში ბრონქული ასთმის ყველაზე ტიპურ ნიშნად ითვლება:

- ა) სუნთქვის რითმის დარღვევა;
- ბ) მშრალი ხიხინი ფილტვებში;
- გ) ხმაურიანი ჩასუნთქვა;
- *დ) გაძნელებული ამოსუნთქვა.

1697. სუნთქვის სიხშირე ახალშობილებში გოლია:

- ა) 16 წუთში;
- ბ) 24 წუთში;
- *გ) 40-60 წუთში;
- დ) 70 წუთში;
- ე) 80 წუთში.

1698. სასუნთქი მოცულობა ბავშვებში გოლია:

- ა) 2-3 მლ/კგ;
- *ბ) 5-7 მლ/კგ;
- გ) 8-10 მლ/კგ;
- დ) 11-12 მლ/კგ.

1699. ფეხალური ჰემოგლობინი ახალშობილებში პროცენტულად გოლია:

- ა) 30%;
- ბ) 50%;
- *გ) 75%;
- დ) 90%.

1700. ცენტრალური ვენის პუნქცია უმჯობესია მარჯვნივ, რადგანაც:

- ა) ტექნიკურად ადვილად ხორციელდება;
- *ბ) იცავს გულმკერდის საღინარს დაზიანებისგან;
- გ) ფილტვის დაზიანების მცირე შესაძლებლობაა.

1701. ასთმური სტატუსის დროს ბავშვებში ეუფილინის მაქსიმალური სადღე-ღამისო დოზა შეადგენს:

- ა) 6 მგ/კგ;
- ბ) 9 მგ/კგ;
- *გ) 24 მგ/კგ;

- დ) 30 მგ/კგ;
- ე) 40 მგ/კგ.

1702. სპონგანური სუნთქვის ჩატარება მუღმივალ დაღებითი წნევით უკუნაჩვენებია:

- *ა) ობსტრუქციული ბრონქიტისას;
- ბ) ფილტვის შეშუპების დროს;
- გ) ფილტვში დიდი ფართის შენგის არსებობის დროს;
- დ) ფილტვებზე O₂ გოქსიური მოქმედების დროს.

1703. თირკმლის მწვავე უკმარისობის უხშირეს მიზეზს წარმოადგენს:

- *ა) ჰიპოვოლემია;
- ბ) ნეფროტოქსინების მოქმედება;
- გ) ჰემოლიზი;
- დ) თირკმლის განვითარების მანკები.

1704. თირკმლის მწვავე უკმარისობისთვის ოლიგურიის სტადიაში დამახასიათებელია:

- ა) ჰიპოკალიემია, ჰიპერნატრიემია;
- *ბ) ჰიპერკალიემია, ჰიპონატრიემია;
- გ) ჰიპერნატრიემია;
- დ) ჰიპერკალციემია.

1705. თირკმლის მწვავე უკმარისობის დროს არ შეიძლება ვისმართო:

- *ა) ამინოგლიკოზიდები;
- ბ) ლევომეცეტინი;
- გ) პენიცილინი;
- დ) ერითრომიცინი.

1706. თირკმლის მწვავე უკმარისობის II ხარისხის დროს გიპიურია:

- *ა) საერთო ჰიპერჰიდრატაცია;
- ბ) უჯრედული ჰიპერჰიდრატაცია უჯრედგარეთა დეჰიდრატაციით;
- გ) უჯრედგარეთა ჰიპერჰიდრატაცია უჯრედული დეჰიდრატაციით;
- დ) საერთო დეჰიდრატაცია.

1707. არტერიული სადინრის დახურვას ხელს უწყობს:

- ა) ტალაზოლინი;
- *ბ) ინდომეტაცინი;
- გ) დოპამინი;
- დ) ნატრიუმის ნიგროპრუსიდი.

1708. ახალშობილებში ჰიპლარის ვენის კათეტერიზების დროს კათეტერი შეჰყავთ შემდეგი სიღრმით:

- *ა) ჭიქსა და მხრებს შორის ვერტიკალური ზომის (6-7 სმ) - 60%;
- ბ) ახალშობილის ზომის - 30%;
- გ) არანაკლებ 2-3 სმ-ის სიღრმით.

1709. დაიბადა დიდი ზომის ახალშობილი, რომელსაც აღენიშნება ჰიპერგროფიული კარდიომიოპათია, ჰიპოგლიკემია.

საფიქრებელია, რომ დედას აღენიშნება:

- ა) ჰეპერთირეოზი;
- ბ) თირკმლის პათოლოგია.
- *გ) შაქრიანი დიაბეტი;
- დ) ანემია;
- ე) ჰიპოთირეოზი.

1710. ახალშობილებში ჰემორაგიულ დაავადების განვითარებაში შედეგების ფაქტორებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- ა) II;
- ბ) VII;
- გ) IX;
- დ) X;
- *ე) XII.

1711. პერინატალური თირკმლის უკმარისობის თერაპია იწყება:

- ა) ლაზიქსის შეყვანით;
- ბ) მანიტოლის შეყვანით;
- გ) მოციკულირე სისხლის მოცულების შევსებით;
- *დ) უჯრედგარეთა სითხის შევსებით.

1712. თირკმლის ბლოკის მოსახსნელად საჭიროა ლაზიქსის შემდეგი მაქსიმალური დოზა:

- ა) 1-2 მგ/კგ;
- ბ) 2-3 მგ/კგ;
- გ) 5-7 მგ/კგ;
- *დ) 15-20 მგ/კგ;
- ე) 30-40 მგ/კგ.

1713. თირკმლის მწვავე უკმარისობის დროს ოლიგურიის სტადიაში, წამყვანი სამკურნალო საშუალებაა:

- ა) პლაზმა;
- ბ) ალბუმინი;
- გ) რეოპოლიგლიკინი;
- *დ) გლუკოზა;
- ე) განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს.

1714. ბაეშეებში რეიეს სინდრომზე ეჭვის მიგანა შეიძლება შემდეგ საფუძველზე:

- ა) ბილირუბინის მომაგება;
- ბ) გრანსამინაზების მკვეთრი მომაგება;
- გ) პროთრომბინული დროს მკვეთრი მომაგება;
- *დ) სისხლში ამიაკის მომაგება.

1715. მეკონეუმით ასპირაციის სინდრომის ყველაზე მძიმე გართულებად ითვლება:

- ა) სეპტიური შოკი;
- ბ) გულის უკმარისობა;
- გ) თირკმლის უკმარისობა;
- *დ) ფილტვების პერსისტირებადი პიპერგენზია;
- ე) ბრონქ-ფილტვის დისპლაზია.

1716. მეკონეუმით ასპირაციის სინდრომის მქონე ახალშობილს, ხელოვნური სუნთქვის დროს პნევმოთორაქსი შეილება განუვითარდეს:

- *ა) ყველა სახის პიკური წნევის დროს;
- ბ) 25-30 სმ. ვერცხლის წყ. სვ;
- გ) 40 სმ. ვერცხლის წყ. სვ;
- დ) 40-60 სმ. ვერცხლის წყ. სვ;
- ე) 70 სმ. ვერცხლის წყ. სვ.

1717. დროული ახალშობილის ხელოვნური სუნთქვის ჩაგარებისას პიკური წნევის საწყის სიდიდელ შეიძლება ჩაითვალოს:

- ა) 10-15 სმ. ვერცხლის წყ. სვ;
- *ბ) 20-25 სმ. ვერცხლის წყ. სვ;
- გ) 25-35 სმ. ვერცხლის წყ. სვ;
- დ) 30-40 სმ. ვერცხლის წყ. სვ;
- ე) 40-50 სმ. ვერცხლის წყ. სვ.

1718. ახალშობილთა ხელოვნური ვენტილაციის დროს საწყის სუნთქვით სიხშირედ ითვლება:

- ა) 10-15 წუთში;
- *ბ) 30-40 წუთში;
- გ) 40-60 წუთში;
- დ) 50-70 წუთში;
- ე) 70-80 წუთში.

1719. ამოსუნთქვაზე დადებითი წნევის რეჟიმის ოპტიმალურ სიდიდელ ახალშობილის აპარატული სუნთქვიდან სპონტანურზე გადაყვანისას ითვლება:

- *ა) 2-3 სმ. ვერცხლის წყ. სვ;
- ბ) 5 სმ. ვერცხლის წყ. სვ;
- გ) 5-10 სმ. ვერცხლის წყ. სვ;
- დ) 10 სმ. ვერცხლის წყ. სვ;
- ე) 10-15 სმ. ვერცხლის წყ. სვ.

1720. აპარატულ სუნთქვაზე მყოფი, ნორმალური გრაფეო-ბრონქული ხის ლორწოვანის მქონე ბავშვის ჩასასუნთქი გაზის ნარევის ოპტიმალური გემპერატურაა:

- ა) 20 გრადუსი ჩ;
- ბ) 28-30 გრადუსი ჩ;
- გ) 33 გრადუსი ჩ;
- *დ) 35 გრადუსი ჩ;

ე) 40 გრაუსი ჩ.

1721. ახალშობილთა აპარატული სუნთქვისას, რომელიც ხორციელდება ციკლური ვენტილაციით გაზის მუდმივი მიწოდებით გაზის ის მინიმალური ნაკადი, რომელიც გაივლის პაციენტის კონტურს არის:

- ა) 20 ლ/წთ-ში;
- ბ) 10 ლ/წთ-ში;
- გ) 8 ლ/წთ-ში;
- დ) 6 ლ/წთ-ში;
- *ე) 4 ლ/წთ-ში.

1722. აპარატული სუნთქვის დროს ახალშობილთა ბრონქ-ფილგვის დისპლაზიის ძირითად მიზეზს წარმოადგენს: 1. პნევმონია; 2. O₂-ის გოქსიური მოქმედება; 3. მაღალი წნევა სასუნთქ გზებში.

- ა) სწორია ყველა;
- *ბ) სწორია 2,3;
- გ) სწორია 1,2.

1723. აპარატული სუნთქვისას ახალშობილთა კვების ოპტიმალური საშუალებაა:

- ა) პარენტერალური გზა;
- ბ) ზონდით კვება;
- გ) ნაწილობრივ პარენტერალური კვება;
- *დ) ყველა სახის, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზმის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

1724. 15 დღის ჯანმრთელი ახალშობილის სადღე-ღამისო მოთხოვნილება წყალზე არის:

- ა) 80 მლ/კგ;
- ბ) 100 მლ/კგ;
- *გ) 140 მლ/კგ;
- დ) 200 მლ/კგ;
- ე) 250 მლ/კგ.

1725. 2-3 დღის ნაოპერაციები ახალშობილის ოპტიმალური ენერგეტიკული მოთხოვნილება სასუნთქი სისტემისა და სისხლის ნორმალური ფუნქციისას შეადგენს:

- ა) 40-60 კკალ/კგ დღე-ღამეში;
- *ბ) 90-100 კკალ/კგ დღე-ღამეში;
- გ) 150-180 კკალ/კგ დღე-ღამეში;
- დ) 130-160 კკალ/კგ დღე-ღამეში.

1726. სრულ პარენტერალურ კვებაზე მყოფი ახალშობილის მინიმალური სადღე-ღამისო მოთხოვნილება ამინომჟავებზე კილოგრამ მასაზე გათვალისწინებით, არის:

- ა) 0,8 გრ/კგ დღე-ღამეში;
- ბ) 1,0 გრ/კგ დღე-ღამეში;
- გ) 1,5 გრ/კგ დღე-ღამეში;
- დ) 2,0 გრ/კგ დღე-ღამეში;
- *ე) 2,5 გრ/კგ დღე-ღამეში.

1727. ჰიპერალბუმინემიის სისტემით სრულ პარენტერალურ კვებაზე მყოფი ახალშობილის მაქსიმალური სადღე-ღამისო მოთხოვნილება ამინომჟავებზე კილოგრამ მასაზე, გადაანგარიშებით არის:

- ა) 1,5 გრ/კგ დღე-ღამეში;
- ბ) 2,5 გრ/კგ დღე-ღამეში;
- გ) 3,0 გრ/კგ დღე-ღამეში;
- *დ) 4,0 გრ/კგ დღე-ღამეში;
- ე) 6,0 გრ/კგ დღე-ღამეში.

1728. ახალშობილის სრული პარენტერალური კვების დროს მინიმალური შეფარდება "აზოტი/კალორია" არის:

- ა) 1 : 120;
- ბ) 1 : 130;
- გ) 1 : 160;
- *დ) 1 : 200;
- ე) 1 : 250.

1729. 3-4 კვირის ახალშობილის მაქსიმალური მოთხოვნილება კალიუმზე არის:

- ა) 5 მმოლ/კგ სადღე-ღამისო;
- *ბ) 3 მმოლ/კგ სადღე-ღამისო;
- გ) 2 მმოლ/კგ სადღე-ღამისო;
- დ) 1 მმოლ/კგ სადღე-ღამისო.

1730. ნაგრიუმის ის ლობა, რომელიც ესაჭიროება 1-3 ღლის წინ ნაოპერაციებ რამდენიმე ღლის ახალშობილს არის:

- *ა) 1 მმოლ/კგ - ზე ნაკლები;
- ბ) 2 მმოლ/კგ;
- გ) 3 მმოლ/კგ;
- ღ) 4 მმოლ/კგ;
- ე) 5 მმოლ/კგ.

1731. ახალშობილს, რომელსაც სიყვითლის გამო კვარცის ნათურით უჭარღება ფოტოთერაპია, ინფუზიური თერაპიის მოცულობა უნდა შეუმცირდეს:

- ა) 50%-ით;
- *ბ) 30%-ით;
- გ) 15%-ით;
- ღ) 10%-ით;
- ე) 5%-ით.

1732. ახალშობილის სხეულის მასის მაქსიმალურად დასაშვები ბალანსი ინფუზიური თერაპიის ჩატარებისას არის:

- *ა) 50 გრ;
- ბ) 40 გრ;
- გ) 30 გრ;
- ღ) 20 გრ.

1733. ჰემატოკრიტის მინიმალური სიდიდე, როდესაც სისხლდენის შემდგომ პერიოდში არ არის საჭირო სისხლის გადასხმა ახალშობილში შეადგენს:

- ა) 45%;
- ბ) 40%;
- *გ) 35%;
- ღ) 30%;
- ე) 22%.

1734. ახალშობილის პოსტოპერაციულ პერიოდში პარენჯერალური კვების მიზნით ცხიმოვანი ემულსიების გამოყენება არ არის რეკომენდირებული: 1. როცა არგერიული სისხლის O2-ით გაჯერება არის 60 მმ. ვერცხლ. წყ. სვ-ზე ნაკლები; 2. ოპერაციის შემდგომ 1 - 3 ღლეს; 3. აპარატული სუნთქვისას;

- ა) სწორია ყველა;
- *ბ) სწორია 2,3;
- გ) სწორია 1,2.

1735. ახალშობილებს, რომლებიც პოსტოპერაციულ პერიოდში იმყოფებიან პარენჯერალურ კვებაზე, მოსალოდნელია განუვითარდეთ:

- ა) რკინის დეფიციტი;
- *ბ) პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავების დეფიციტი;
- გ) ჰიპოფოსფატემია;
- ღ) კალიუმის დეფიციტი;
- ე) ჰიპერკალციემია.

1736. ახალშობილის სრული პარენჯერალური კვება, ფიზიოლოგიური ზრდისა და განვითარების გათვალისწინებით შეიძლება;

- ა) 30 ღლეს;
- ბ) 2 თვე;
- გ) 3 თვე;
- ღ) 6 თვე;
- *ე) 3 წელი.

1737. ახალშობილის დაბადებიდან პირველ ღლეებში სისხლის საშუალო რაოდენობა მასასთან მიმართებაში არის:

- ა) 5%;
- ბ) 8%;
- *გ) 10%;
- ღ) 15%.

1738. 1-3 წლის ბავშვის სისხლის საშუალო რაოდენობა მასასთან მიმართებაში, არის:

- *ა) იგივეა რაც მოზრდილთა;
- ბ) 4%;
- გ) 6 %;
- ღ) 11%.

1739. სისხლის ის რაოდენობა, რომელიც შენაცვლებითი გადასხმისათვის ესაჭიროება სეპტიური შოკის დროს ახალშობილს, არის:

- ა) 20-30 მლ/კგ;
- ბ) 50-60 მლ/კგ;
- გ) 80-100 მლ/კგ;
- დ) 120-160 მლ/კგ;
- *ე) 160-180 მლ/კგ.

1740. ჰიპერთერმიის საწინააღმდეგო თერაპია ბავშვებში იწყება:

- *ა) სიცხისდამწვევი პრეპარატების შეყვანით;
- ბ) ფიზიკური გაგრილების მეთოდების გამოყენებით;
- გ) ამინაზინისა და ჰიპოლოფენის შეყვანით;
- დ) ღროპერილოლის შეყვანით.

1741. სალიცილატების თერაპიული ღირებულებით გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის მოწამვლა:

- ა) ჰიპერჰიდრატაციისას;
- ბ) ღვიძლის ფუნქციის დარღვევისას;
- გ) ტუტე ხსნარების მიღებისას;
- *დ) თირკმლის ფუნქციის დარღვევისას.

1742. ყველა ასაკის ბავშვისათვის ყველაზე უვნებელი სიცხის დამწვევი პრეპარატია:

- ა) სალიცილატები;
- ბ) ანალგინი;
- გ) ამილოპირინი;
- *დ) პარაცეტამოლი.

1743. ბავშვებში იმურგის ტვინის სითხის პუნქცია არის პირველადი სადიაგნოსტიკო საშუალება:

- ა) თუ არის ეჭვი ქალასშიდა სისხლჩაქცევამზე;
- ბ) კრუნჩხვითი სტაგუსის დროს;
- გ) ტვინის ხანგრძლივი შეშუპების დროს;
- *დ) მენინგიტზე ეჭვის დროს;
- ე) ყველა მათგანის დროს.

1744. ჩვილ ბავშვებში კრუნჩხვითი სინდრომის ყველაზე უფრო ხშირი მიზეზია:

- ა) ჩირქოვანი მენინგიტი;
- ბ) ეპილეფსია;
- გ) მწვავე მოწამვლა;
- *დ) ვირუსული ინფექციის ფონზე განვითარებული ენცეფალური რეაქცია;

1745. გენერალიზებული გულყრების განვითარება განპირობებულია:

- *ა) ეპილეფსიით;
- ბ) ენცეფალიტით;
- გ) ანგინით;
- დ) ტვინში სისხლ-ჩაქცევით;
- ე) მწვავე მოწამვლით.

1746. ჰიპერთერმიის ფონზე განვითარებული კრუნჩხვითი სინდრომის დროს პირველადი ღონისძიება:

- ა) ანტიკონვულსანტების შეყვანა;
- ბ) ფიზიკური გაგრილება;
- გ) სიცხის დამწვევი პრეპარატების გამოყენება;
- დ) ლაზიქსის შეყვანა;
- *ე) სასუნთქი გზების გამავლობის აღდგენა, გამთა ცელის ნორმალიზება.

1747. სუნთქვის უკმარისობის გვიანი სტადიისათვის დამახასიათებელია:

- ა) $P\dot{V}O_2$ - ის გაზრდა;
- ბ) $P\dot{V}O_2$ - ის შემცირება და PO_2 - ის შემცირება;
- *გ) $P\dot{V}O_2$ - ის მომაგება და PO_2 - ის შემცირება;
- დ) pH - ის შემცირება.

1748. აერობოლოთერაპიისას, რომელიც ტარდება ქველა სასუნთქი გზების ოპტიმალური დატენიანების მიზნით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება:

- ა) ჩასუნთქული ჰაერის ტემპერატურას;
- ბ) გაზის დონეების სიმწიფეს;
- *გ) აერობოლის ნაწილაკების მომას;

დ) ღამაგენიანებელში წყლის გემპერაგურას.

1749. ოქსიგენოთერაპიის ყველაზე ტიპური გართულებაა:

- ა) პნევმონია;
- ბ) ფილტვების ემბოლია;
- გ) ბრონქების ობსტრუქცია;
- *დ) ატელექტაზები.

1750. ინტუბაციის ან ტრაქეოსტომის დროს წამწამოვანი ეპითელის ფუნქციის დარღვევის შესამცირებლად ჩასასუნთქი აირის გენიანობა უნდა იყოს:

- ა) არანაკლები შეფარდებითი გენიანობის 40%-ისა;
- *ბ) არანაკლები შეფარდებითი გენიანობის 70%-ისა;
- გ) 100% შეფარდებითი გენიანობისა;
- დ) ჩვეულებრივი ჰაერის;
- ე) გენიანობას მნიშვნელობა არა აქვს.

1751. აპარატული სუნთქვისას სისხლში PO₂ - ის პროგრესულად შემცირებისას გამოიყენება:

- ა) წნევით რეგულირებადი აპარატული სუნთქვა;
- ბ) მოცულობით რეგულირებადი აპარატული სუნთქვა;
- *გ) "ამოსუნთქვის ბოლოს დადებითი წნევის" რეჟიმში აპარატული სუნთქვის დროს.

1752. ინტუბაცია უნდა შეიცვალოს ტრაქეოსტომით:

- ა) 24 სთ-ში;
- ბ) 72 სთ-ში;
- გ) 2 კვირაში;
- *დ) გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალურად.

1753. ხელოვნური ვენტილაციის დროს სუნთქვის წუთმოცულობა უნდა აღემატებოდეს მოცემული პაციენტისათვის ჩვეულ სიდიდეებს:

- ა) ფილტვში შუნტირების გამო;
- ბ) სასუნთქი ზედაპირის შემცირების გამო;
- გ) გულმკერდის კედლის ჭიმვალბობის შემცირების გამო;
- *დ) მკვლარი სივრცის მოცულობის გაზრდის გამო.

1754. იმ შხამიან მცენარეთა ჯგუფს, რომელთა მოწამვლითაც ბავშვებს უეითარლებათ კანის საფარველის ჰიპერემია, ჰალუცინაციები და გუგების გაფართოება, მიეკუთვნება:

- ა) მათის შროშანი;
- *ბ) ღემა;
- გ) ადონისი;
- დ) ზამბახი.

1755. უცნობი შხამით ბავშვის მოწამვლისას ყველაზე მიზანშეწონილია კუჭი ამოირეცხოს შემდეგი ხსნარით:

- ა) სუფთა წყლით;
- ბ) მარგანეციანი ხსნარით;
- გ) სოდის ხსნარით;
- *დ) გააქტივებული ნახშირიანი წყლით.

1756. ბავშვებში მწვავე მოწამვლების დროს ყველაზე ეფექტური დებინტოქსიკაციური საშუალებაა:

- ა) ფორსირებული დიურეზი;
- ბ) სისხლის შენაცვლებითი გადასხმა;
- გ) პერიტონეალური დიალიზი;
- *დ) ჰემოსორბცია.

1757. "თეთრი შხამათი" მოწავლისას ლეგალური პერიოდის ხანგრძლივობა არის:

- ა) 15-30 წთ;
- ბ) 1-2 სთ;
- გ) 6-12 სთ;
- *დ) 12-24 სთ.

1758. "თეთრი შხამათი" მოწამვლისას წამყვანი სინდრომია:

- ა) კრუნჩხვითი სინდრომი;
- ბ) ფილტვის შეშუპება;
- გ) თირკმლის მწვავე უკმარისობა;
- *დ) ღვიძლის მწვავე უკმარისობა.

1759. მხუთავი გაზით ბავშვების მოწაფელისას ყველაზე მიზანშეწონილი სამკურნალო მეთოდია:

- ა) სისხლის შენაცვლებითი გადასხმა;
- ბ) უხვბაღით ინჰალაცია;
- *გ) ჰიპერბარული ოქსიგენაცია;
- დ) ჰემასორბცია;
- ე) პლაზმაფერეზი.

1760. აგროპინისმაგვარი ნივთიერებებით მოწამელისას ყველაზე ღამახასიათებელი სიმპტომებია:

- ა) სალივაცია, ბრონქოსპაზმი, გუგების შევიწროება;
- ბ) გონების დაბინდვა, გუგების შევიწროება;
- *გ) კანის ჰიპერემია, ჰალუცინაციები, გუგების გაფართოება;
- დ) ტონურ-კლონური კრუნჩხვები.

1761. მოწამლულ ბავშვებში ღებინების გამოსაწვევად არ შეიძლება გამოიყენოთ:

- ა) საკეები მარილის ხსნარი;
- ბ) მშრალი მლოგვის ხსნარი;
- *გ) აპომორფინი;
- დ) მარგანეცის ხსნარი.

1762. მოწამლულ უგონო მდგომარეობაში მყოფი ბავშვისათვის კუჭის ამორეცხვა შეიძლება:

- ა) თუ პაციენტი წევს გვერდზე თავდაშვებულ მდგომარეობაში;
- ბ) ზურგზე წოლისას;
- გ) შხამის ილენგიუიკაციის შემდეგ;
- *დ) გრაქეის ინტუბაციის შემდეგ.

1763. შეარჩიეთ მორფინით მოწამლული ბავშვისათვის შესაბამისი მედიკამენტი:

- ა) აგროპინი;
- ბ) ბემეგრილი;
- *გ) ნალორფინი, ნალოქსონი;
- დ) პროტამინ სულფატი.

1764. ბავშვებში ჰიპერგლიკემიური კომის დიფერენცირება უნდა მოხდეს:

- *ა) ასპირინით მოწამვლასთან;
- ბ) ჰიპოგლიკემიურ კომასთან;
- გ) გრავემულ კომასთან;
- დ) ურემიასთან.

1765. ბავშვებში ღვიძლის კომის განვითარება შესაძლებელია:

- ა) ვირუსული ჰეპატიტისას;
- ბ) შოკისას;
- *გ) დიქლორეთანით მოწამვლისას;
- დ) ფტოროგანით ნარკოზისას.

1766. ბავშვებში თირკმლის მწვავე უკმარისობისას არ გამოიყენება:

- *ა) ამინოგლიკოზიდები;
- ბ) მერონემი;
- გ) პენიცილინი;
- დ) კლინდამიცინი.

1767. ყველაზე მნიშვნელოვანი მახველებელი ბავშვის აპარატულ სუნთქვაზე გადასაყვანად არის:

- ა) 1 წლის ასაკის ბავშვში განმეორებითი ოპერაციული ჩარევა;
- ბ) ახალშობილის სუნთქვის სისხშირე 90-ია წუთში;
- გ) PaO_2 - 70 მმ. ვერცხლ. წყლ. სვ;
- *დ) PaO_2 - 60 მმ. ვერცხლ. წყლ. სვ.

1768. ბავშვებში ჰიპერთერმიული სინდრომის დროს პირველადი ღონისძიებებია:

- ა) ფიზიკური გაგრილება;
- ბ) სიცხის დამწვევი პრეპარატები;
- გ) სასუნთქი გზების გამაჯლობის აღდგენა, გამთა ცვლის ნორმალიზება;
- *დ) სწორია ყველა პასუხი;

1769. შეარჩიეთ შესაბამისი მედიკამენტი ბარბიტურატებით მოწამლული ბავშვისათვის:

- ა) აგროპინი;

- *ბ) ბემეგრიდი;
- გ) ნალორფინი;
- დ) პროსტამინ სულფატი.

1770. შეარჩიეთ შესაბამისი სამკურნალო საშუალება ჰეპარინით მოწამლული ბავშვისათვის:

- ა) აგროპინი;
- ბ) ბემეგრიდი;
- გ) ნალორფინი;
- *დ) პროსტამინ სულფატი.

1771. შეარჩიეთ შესაბამისი სამკურნალო საშუალება ფოსფორგანული ნივთიერებით მოწამლული ბავშვებისათვის:

- *ა) აგროპინი;
- ბ) ბემეგრიდი;
- გ) ნალორფინი;
- დ) პროსტამინ სულფატი.

1772. ახალშობილის ჰემატოკრიტი, ნაგრიუმის კონცენტრაცია სისხლსა და შარდში არის მომატებული, ხოლო ღვიძლები დაქვეითებულია. ეს ნიშნავს:

- *ა) ჰიპოტონურ ჰიპერჰიდრატაციას;
- ბ) ჰიპოტონურ ლეჰიდრატაციას;
- გ) ჰიპერტონულ ჰიპერჰიდრატაციას;
- დ) ჰიპერტონულ ლეჰიდრატაციას.

1773. გათვლილი ღობით ნაგრიუმის ჰიდროკარბონატის შეყვანამ, მეტაბოლური აციდოზის კორექციის მიზნით შეიძლება გამოიწვიოს:

- ა) ოსმოლარობის დაქვეითება;
- *ბ) ოსმოლარობის მომატება;
- გ) ოსმოლარობის უცვლელობა;
- დ) ყველა მათგანი.

1774. იმისათვის, რომ ახალშობილის ორგანიზმში შევინარჩუნოთ კალიუმის ნორმალური ბალანსი, როდესაც პლამბის კალიუმი არის 3,1 მმოლ/ლ, კალიუმი ერთერთიცის კი - 67 მმოლ/ლ, მომდევნო დღე-ღამის განმავლობაში უნდა გამოვიყენოთ 7,5% ხსნარის შემდეგი რაოდენობა:

- ა) 6,6 მლ;
- ბ) 14,8 მლ;
- *გ) 27,1 მლ;
- დ) 36,4 მლ.

1775. არტერიული საღინარის შუნგი ახალშობილის სიცოცხლის პირველ საათებში შეაღვენს:

- ა) 1-3%;
- ბ) 10-15%;
- *გ) 25-30%;
- დ) 35-40%.

1776. ბავშვებში გლიკომიდური ინტოქსიკაციის ყველაზე ხშირი გამოვლინებაა:

- ა) სინუსური ბრადიკარდია;
- *ბ) პარკუჭოვანი ექსტრასისტოლია;
- გ) ატრიოვენტრიკულური ბლოკადა;
- დ) პარკუჭოვანი ტაქიკარდია.

1777. ფილგების სისხლძარღვების ყველაზე ძლიერი დილატატორია:

- ა) ნიგროპრუსიდი;
- ბ) ფგოროტანი;
- *გ) აზოტის ჟაგნი;
- დ) გოლაბოლინი;
- ე) მაგნიუმის სულფატი.

1778. ახალშობილებში არ გამოიყენება:

- *ა) მონომიცინი;
- ბ) თობრამიცინი;
- გ) ტიენამი;
- დ) დიოქსილინი.

1779. ახალშობილთა ჰერპესული ინფექციის დროს ყველაზე ეფექტურია:

- ა) განციკლოვირი;
- *ბ) ზოვირაქსი;
- გ) რემანტადინი;
- დ) ტენამი.

1780. რომელი იმუნოგლობულინები გადიან ტრანსპლაცენტარულად:

- ა) IgM;
- *ბ) IgG;
- გ) IgA;
- დ) IgE;
- ე) IgD.

1781. რა დროს შეიძლება დავიწყოთ დროული ახალშობილის პარენტერალური კვება:

- ა) დაბადებიდან 25 სთ-ის შემდეგ;
- *ბ) დაბადებიდან 3 - 4 დღის შემდეგ;
- გ) დაბადებიდან 56 დღის შემდეგ;
- დ) დაბადებიდან 7 დღის შემდეგ.

1782. ნაწლავთა II ხარისხის ექსიკომისათვის დამახასიათებელია ახალშობილის სხეულის მასის კლება:

- ა) 5% - მდე;
- *ბ) 6-8%;
- გ) 9-10%;
- დ) 10% - ზე მეტი.

1783. ნაწლავთა III ხარისხის ექსიკომისათვის დამახასიათებელია ახალშობილის სხეულის მასის კლება:

- ა) 5% - მდე;
- ბ) 6-8%;
- გ) 9-10%;
- *დ) 10% - ზე მეტი.

1784. ახალშობილებში ნაწლავთა II ხარისხის ექსიკომისას ადგილი აქვს ელექტროლიტების შემდეგ ცვლილებებს:

- *ა) კალიუმისა და ნატრიუმის ნორმალური დონეს;
- ბ) ჰიპოკალიემიას და ჰიპონატრიემიას;
- გ) ჰიპერნატრიემიას და ჰიპერკალიემიას;
- დ) ჰიპოკალიემიას, ნატრიუმის ნორმალური დონის ფონზე;
- ე) ჰიპერნატრიემიას და ჰიპოკალიემიას.

1785. ახალშობილებში ნაწლავთა III ხარისხის ექსიკომისას ადგილი აქვს ელექტროლიტების შემდეგ ცვლილებებს:

- ა) კალიუმისა და ნატრიუმის ნორმალური დონეს;
- ბ) ჰიპოკალიემიას და ჰიპონატრიემიას;
- *გ) ჰიპერნატრიემიას და ჰიპერკალიემიას;
- დ) ჰიპოკალიემიას და ნატრიუმის ნორმალურ დონეს;
- ე) ჰიპერნატრიემიას და ჰიპოკალიემიას.

1786. ჩვილი ბავშვების განავალში "წყლიანი" დიარეის დროს ნატრიუმის რაოდენობა არის:

- ა) 150 მმოლ/ლ-ზე მეტი;
- ბ) 90-110 მმოლ/ლ;
- *გ) 40-80 მმოლ/ლ
- დ) 20 მმოლ/ლ-ზე ნაკლები.

1787. ჩვილი ბავშვების განავალში "წყლიანი" დიარეის დროს კალიუმის რაოდენობა არის:

- ა) 5 მმოლ/ლ-მდე;
- ბ) 25-40 მმოლ/ლ;
- *გ) 6-20 მმოლ/ლ;
- დ) 50 მმოლ/ლ-ზე მეტი.

1788. ბავშვებში ნაწლავური ინფექციით გამოწვეული ჰიპოვოლემიური შოკის დროს ცილის, ჰემოგლობინის და ჰემატოკრიტის ცვლილება ხდება:

- ა) სხვადასხვა მიმართულებით;
- ბ) დაქვეითებულია;
- *გ) მომატებულია;
- დ) ნორმალურია.

1789. ბავშვებში ნაწლავური ინფექციით გამოწვეული ინფექციურ-ტოქსური შოკის დროს ცილის, ჰემოგლობინის და

ჰემატოკრიტის ცვლილება ხდება:

- ა) სხვადასხვა მიმართულებით;
- *ბ) დაქვეითებულია;
- გ) მომაგებულია;
- დ) ნორმალურია.

1790. ბავშვებში ნაწლავთა მწვავე ინფექციის შედეგად განვითარებული თირკმლის უკმარისობისათვის დამახასიათებელია შარდის ხვედრითი წონისა და ოსმოლარობის შემდეგი ცვლილებები:

- ა) შარდის ხვედრითი წონა შემცირებულია, ოსმოლარობის ინდექსი ერთეულზე ნაკლები;
- *ბ) ხვედრითი წონა მომაგებულია, ოსმოლარობის ინდექსი ერთეულზე მეტია;
- გ) ხვედრითი წონა დაქვეითებულია, ოსმოლარობის ინდექსი ერთეულზე მეტია;
- დ) ხვედრითი წონა ნორმალურია, ოსმოლარობის ინდექსი ერთეულზე მეტია.

1791. თირკმლის ორგანული უკმარისობისათვის დამახასიათებელია შარდის ხვედრითი წონისა და ოსმოლარობის შემდეგი ცვლილებები:

- *ა) შარდის ხვედრითი წონა დაქვეითებულია (1005-ზე ნაკლები), ოსმოლარობის ინდექსი ერთეულზე ნაკლებია;
- ბ) ხვედრითი წონა მომაგებულია, ოსმოლარობის ინდექსი ერთეულზე მეტია;
- გ) ხვედრითი წონა დაქვეითებულია, ოსმოლარობის ინდექსი ერთეულზე მეტია;
- დ) ხვედრითი წონა მომაგებულია, ოსმოლარობის ინდექსი ერთეულზე ნაკლებია.

1792. ნაწლავური ინფექციით გამოწვეული ინფექციური ტოქსემიისას ჩვილ ბავშვთა დიდი ყიფილიანი შემდეგ სახისაა:

- ა) ჩავარდნილია;
- *ბ) დაჭიმულია და პულსირებს;
- გ) შეესებება;
- დ) ჩავარდნილია და პულსირებს.

1793. ნაწლავთა მწვავე ინფექციით გამოწვეული ინფექციური ტოქსემიისას ჩვილ ბავშვთა ელექტროლიტების ცვლილებები შემდეგი სახისაა:

- ა) ნატრიუმის და კალიუმის დონე ნორმალური;
- ბ) ჰიპონატრიემია და ჰიპერკალიემია;
- *გ) ნატრიუმისა და კალიუმის დონე მომაგებულია;
- დ) ჰიპონატრიემია და ჰიპოკალიემია;
- ე) ჰიპონატრიემია და ჰიპოკალიემია.

1794. ბავშვებში ანესთეტიკების ასაკობრივი დოზის შერჩევისათვის გამოიყენება ე.წ. "დოზის - ფაქტორი", რომლის არსიც მდგომარეობს შემდეგში:

- ა) დოზების შერჩევა ასაკობრივი ფაქტორია;
- ბ) ის ხდება სიგრძის გათვალისწინებით;
- გ) ის ხდება სიგრძისა და მასის ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით;
- *დ) მასის ერთეულზე ასაკობრივი კოეფიციენტის გამოყვანით.

1795. მადეპოლარიზებული მიორელაქსანტების გამოყენების შემდეგ არითმიის და გულის გაჩერების ყველაზე რეალური მიზეზი არის:

- *ა) ქოლინერგული რეცეპტორების სტიმულირება და კალიუმის იონების გამოთვისუფლება;
- ბ) პირდაპირი მადეპოლარიზებული მოქმედება მიოკარდის ნერვ-კუნთოვან ფირიფიტებზე;
- გ) რელაქსანტის დაშლითი პროდუქტების მოქმედება მიონევრალურ სინაფსზე;
- დ) მეტაბოლური ალკალოზის განვითარება.

1796. 6 კვირის ახალშობილს, პილოროსტენოზის გამო უკეთდება პილორომიოტომია ამ დროს არ უნდა იქნეს გამოყენებული:

- ა) თიოპენტალით ინტრავენული ინდუქცია;
- *ბ) არამადეპოლარიზებული მიორელაქსანტით ინტუბაცია;
- გ) პრემედიკაციისას - ატროპინი;
- დ) 0,9% NaCl ინტრავენური ინფუზია;
- ე) ჟანგბადისა და ფთოროგანის ვენტილაცია.

1797. 5 კვირის ახალშობილს, რომლის მასაა 4,1 კგ და აქვს შეუპოვარი ღებინება, უკეთდება პილორომიოტომია:

- ა) მას აღენიშნება ჰიპოკალიემია და ალკალოზი;
- ბ) ინტუბაციისას არასასურველია სუქცინილქოლინის გამოყენება;
- გ) ინტუბაცია უნდა ჩატარდეს "სელიკის" მეთოდით (ბეჭდისებურ ხრტილზე გეწოლა);
- *დ) სწორია ყველა პასუხი.

1798. ახალშობილის მდგომარეობა, რომელსაც 12 საათის წინ გაუკეთდა ღიაფრაგმალური თიაქრის ოპერაცია, უცბად დამძიმდა, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

- ა) მწვავე პულმონალური ჰიპერტენზია;

- ბ) კუჭის გაღებურება;
- გ) დაჭიმული პნევმოტორაქსი ან ჰემოტორაქსი;
- დ) ჰიპოგლიკემია;
- *ე) ყველა მათგანი.

1799. ახალშობილს, რომელსაც აწუხებს პილოროსტენოზი, შეიძლება განუვითარდეს: 1. მეტაბოლური ალკალოზი, ჰიპოქლორემია; 2. მეტაბოლური აციდოზი, პლაზმის ოსმოლარობის დაქვეითება; 3. ლეჰირდატაცია.

- ა) სწორია ყველა;
- *ბ) სწორია 1,3;
- გ) სწორია 1,2.

1800. ახალშობილს არა აქვს განვითარებული თერმომარეგულირებელი მექანიზმი. ამის მიზეზია:

- ა) ვაზოკონსტრიქცია;
- *ბ) კანკალი;
- გ) ფიბიკური აქტიურობა;
- დ) ყველა მათგანი.

1801. ახალშობილთა სუნთქვის პოსტოპერაციული ლეპრესიის ყველაზე უფრო სერიოზული მიზეზია:

- ა) ჰიპოთერმია;
- ბ) ლენაკულულობა;
- *გ) ჰიპოგენზია;
- დ) ჰიპოგლიკემია.

1802. ახალშობილებთან ოვალურ ხვრელის (ფორამენ ოვალე) მიმართ არასწორი პასუხია:

- ა) ღია რჩება მაგისტრალური სისხლძარღვების ტრანსპონზიციისას;
- ბ) იხურება პროსტაგლანდინების მოქმედებით;
- გ) რჩება ღია რესპირატორული დისტრეს სინდრომისას;
- *დ) აორტის სტენოზისას ჩნდება შუნგი "მარჯვნიდან - მარცხნივ";
- ე) რჩება ღია სიცოცხლის პირველ თვეს.

1803. პრემედიკაციისათვის კუნთებში შეყვანილი აგროპინიწვევს:

- ა) კუჭში წყალბადის იონების სეკრეციის მომატებას;
- ბ) სუნთქვის ლეპრესიას;
- გ) მიოზს;
- *დ) რექტალური ტემპერატურის მომატებას;
- ე) სედაციას.

1804. ჩვილ ბავშვთან შესახებ მართებულია შემდეგი მსჯელობა:

- *ა) 4 კგ. ბავშვის ნორმალური სასუნთქი მოცულობა 20-25 მლ-ია;
- ბ) 4 წლის ბავშვის ენდოტრაქეალური მილის ზომა 4,5 მმ-ია;
- გ) 7 კგ ბავშვის სისხლის მოცულობა დაახლოებით 700 მლ-ია;
- დ) აღრეული ასაკის ბავშვებში ამოსარჩევი მითრელაქსანტი სუქცინილქოლინია.

1805. 2 წლის ასაკის ბავშვებში, რომელთაც 7 დღის წინ მიიღეს სხეულის მძიმე დამწვრობა, არ გამოიყენება: 1. ბარბიტურატები; 2. დიპრივანი (პროპოფოლი); 3. სუქცინილქოლინი.

- ა) სწორია ყველა;
- *ბ) სწორია 2,3;
- გ) სწორია 1,2.

1806. 5 წლის ბავშვის აპენდიციტის დიაგნოზს ადასტურებს შემდეგი:

- ა) მარჯვენა ფილგვის ქვედა ნაწილში მოისმინება ბრონქული სუნთქვა;
- ბ) შარდში - 5 ლეიკოციტი მხედველობის არეში;
- *გ) ტკივილი მარჯვენა თეძოს მიდამოში;
- დ) ღიარება.

1807. ახალშობილებში ჰიპერვენტილაციის ჩატარების აუცილებლობისას ჰიპოკაპნიის დასაშვები ღონეა:

- *ა) 25-30 მმ. ვერცხლ. წყ. სვ.;
- ბ) 18-20 მმ. ვერცხლ. წყ. სვ.;
- გ) 15 მმ. ვერცხლ. წყ. სვ.;
- დ) 10-15 მმ. ვერცხლ. წყ. სვ.

1808. ახალშობილის სასუნთქი მოცულობაა:

- *ა) 15-25 მლ;
- ბ) 25-35 მლ;

- გ) 30-42 მლ;
- დ) 50 მლ.

1809. ახალშობილებში გრაქვის ბიფურკაციიდან ღრძილთა კიდეზე საშუალო მანძილი შეადგენს:

- ა) 7 სმ;
- *ბ) 10 სმ;
- გ) 13 სმ;
- დ) 16 სმ;
- ე) 18 სმ.

1810. ოპერაციის დროს ახალშობილთა გადაცივების მიზეზებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) თერმორეგულაციის ცენტრის უმწიფრობის;
- ბ) ცივი ნივთიერებების ინფიზიის;
- გ) ნახევრად ღია კონტურის;
- *დ) მეღვივ - მეიპრონის სისტემით სუნთქვის.

1811. 2 წლის ბავშვს მასით 9 კგ, აქვს სუნთქვის წუთ-მოცულობა:

- ა) 600 მლ;
- ბ) 1 000მლ;
- *გ) 4 000მლ;
- დ) 2 000მლ;
- ე) 3 000მლ.

1812. ბავშვებში კეტამინის გამოყენებისას გულის გაჩერების მიზეზია პრეპარატის ღოზის გადაჭარბება:

- ა) 2-ჯერ;
- ბ) 4-ჯერ;
- გ) 8-ჯერ;
- დ) 10-ჯერ;
- *ე) 12-ჯერ.

1813. კეტამინის მეტაბოლიზმი (ინაქტივაცია) ხდება:

- ა) გუგე ჰიდროლიზის გზით;
- ბ) უჯრედოვანი ფერმენტების მოქმედებით;
- *გ) ღვიძლში ღემეთილირების და დაუანგვის შედეგად;
- დ) ქსოვილთა მჟავა გარემოში;
- ე) ქსოვილოვანი ფერმენტების მეშვეობით.

1814. კეტამინის სწრაფმა ინტრავენურმა ინფუზიამ შეიძლება გამოიწვიოს:

- ა) კრუნჩხვები;
- *ბ) სუნთქვის დათრგუნვა;
- გ) სალივაციის გაძლიერება;
- დ) არტერიული წნევის მკვეთრი დაცემა.

1815. კეტამინის მონონარკოზისას ქირურგიულ სტადიაში შენარჩუნებულია:

- ა) ჰორიზონტალური და ვერტიკალური ნისტაგმი;
- ბ) კანის საფარველისა და ლორწოვანის სიფერმკრთალე;
- *გ) ყლაპვისა და ხორხის რეფლექსი;
- დ) რეაქცია გკივილის გაღიზიანებაზე;
- ე) ცრემლდენა.

1816. კეტამინი ქიმიურად შეუთავსებელია:

- ა) სომბრეფინთან;
- *ბ) ბარბიტურატებთან;
- გ) ოპიატებთან;
- დ) ნატრიუმის ოქსიბუტირატთან;
- ე) სელექსინთან.

1817. ბავშვებში კეტამინის მომაგებულობით გამოყენება იწვევს:

- ა) ბრადიკარდიას;
- *ბ) სუნთქვის დათრგუნვას;
- გ) არტერიული წნევის მკვეთრ დაცემას;
- დ) მცირე წრეში წნევის დაცემას;
- ე) კანის საფარველის სიფერმკრთალეს.

1818. მოზრდილ ბავშვებში კეტამინი კუნთებში ინლექციის სახით შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი დოზით:

- ა) 2 მგ/კგ;
- *ბ) 4-6 მგ/კგ;
- გ) 8-10 მგ/კგ;
- დ) 10-12 მგ/კგ;
- ე) 12-14 მგ/კგ.

1819. კუნთში შეყვანილი კეტამინის ანალგეზური ეფექტი გრძელდება:

- ა) 10 წთ;
- ბ) 20 წთ;
- *გ) 30 წთ;
- დ) 40 წთ;
- ე) 60 წთ.

1820. კლინიკური ნიშანი იმისა, რომ შეყვანილი იქნეს კეტამინის შემანარჩუნებელი დოზა არის ყველა, გარდა:

- ა) თვალის კაკლის მდებარეობის შეცვლას;
- ბ) ნისკაგმის გაჩენის;
- გ) არტერიული წნევის მომატების და ტაქიკარდიის;
- დ) სასუნთქი მოცულობის შემცირების;
- *ე) სუნთქვის სიხშირის მომატების და ცრემლდენის.

1821. კეტამინის მონონარკოზისას კუნთებში ბოლო დოზა უნდა შევიყვანოთ:

- ა) ოპერაციის დამთავრებამდე 20 წთ-ით ადრე;
- ბ) ოპერაციის დამთავრებამდე 30 წთ-ით ადრე;
- *გ) ოპერაციის დამთავრებამდე 40 წთ-ით ადრე;
- დ) ოპერაციის დამთავრებამდე 50 წთ-ით ადრე;
- ე) ოპერაციის დამთავრებამდე 1 სთ-ით ადრე.

1822. კეტამინის მონონარკოზისას კუნთებში ქირურგიული სტადია მიიღება:

- ა) 2 წთ;
- ბ) 4-5 წთ;
- გ) 6-8 წთ;
- *დ) 8-10 წთ;
- ე) 10-12 წთ.

1823. კეტამინის ინტრავენული ნარკოზიდან გამოსვლის საშუალო დრო არის:

- ა) 5-10 წთ;
- ბ) 10-15 წთ;
- *გ) 15-30 წთ;
- დ) 30-45 წთ;
- ე) 1 სთ-მდე.

1824. კეტამინის კუნთში და დოზის ხანგრძლიობა ამოცანის ქვეყანგთან კომბინირებული ნარკოზის დროს არის:

- ა) 20 წუთამდე;
- ბ) 30 წთ-მდე;
- *გ) 40 წთ-მდე;
- დ) 50 წთ-მდე;
- ე) 1 სთ-მდე.

1825. ბავშვებში კეტამინის ნარკოზის I სტადიისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია: 1. თვალის კაკლების მცურავი მოძრაობა; 2. პერიოდული ნისკაგმი, გუგების გაფართოება; 3. სახის ზომიერი ჰიპერემია, კანის სისველე.

- ა) სწორია ყველა;
- ბ) სწორია 1,3;
- *გ) სწორია 1,2.

1826. ბავშვებში კეტამინით ნარკოზის I სტადიის ხანგრძლივობა მისი კუნთში შეყვანისას გრძელდება:

- ა) 1 წთ-მდე;
- *ბ) 2 წთ-მდე;
- გ) 3 წთ-მდე;
- დ) 4 წთ-მდე;
- ე) 5 წთ-მდე.

1827. ბავშვებში კეტამინით ნარკოზის II სტადიისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნებია: 1. გონების გათიშვა; 2. თვალის კაკლები ფიქსირება, გუგების შევიწროება; 3. ტაქიკარდია, ზომიერი ჰიპერტენზია.

- ა) სწორია ყველა;
- *ბ) სწორია 1,3;
- გ) სწორია 1,2.

1828. ბავშვებში კეცამინით ნარკოზის III სტადიისათვის დამახასიათებელია: 1.თვალის კაკლების ფიქსირება; 2.ნისტაგმი, ცრემლდენის არ არსებობა, გუგების ძლიერი შევიწროება; 3. სახისა და ლორწოვანის ჰიპერემია, იშვიათი და ღრმა სუნთქვა;

- ა) სწორია ყველა;
- *ბ) სწორია 1,3;
- გ) სწორია 1,2.

1829. კეცამინით ნარკოზის გართულების ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია:

- ა) ჰიპერტონუსი და ჰიპერსალივაცია;
- ბ) კოლაფსი და ანტიდეპრესიული ეფექტი;
- *გ) ფსიქომოტორული აგზნება;
- დ) ალერგიული გამონაყარი;
- ე) ჰალუცინაცია.

1830. კეცამინით ნარკოზისას სისხლის მიმოქცევის ცვლილებას იწვევს:

- ა) კარდიოდეპრესიული ეფექტი;
- *ბ) სიმპათოლდრენალური სისტემის გააქტივება;
- გ) კეცამინის ჰისტამინისებური ეფექტი;
- დ) ცთომილი ნერვის მარეგულირებელი ცენტრის გააქტივება.

1831. ბავშვებში კეცამინით ნარკოზისას სუნთქვის დარღვევის საფუძველს წარმოადგენს: 1. საღეჭი კუნთების მოღუნება, ენის გაღმოვარდნა, ჰიპერსალივაცია; 2. ბრონქების ნახველით ობტურაცია; 3. ფილტვის ქსოვილის ჭიმვალბის ცვლილება;

- ა) სწორია ყველა;
- ბ) სწორია 1,3;
- *გ) სწორია 1,2.

1832. ფენგანლის გამოყენებისას ბრადიკარდიის მიზეზია:

- ა) კარდიოდეპრესიული ეფექტი;
- *ბ) ვაგუსის მოქმედების სტიმულირება;
- გ) "ბეინბრიჯის" რეფლექსების გაძლიერება;
- დ) სიმპათიკური კვანძების ბლოკადა;
- ე) ვაგო-ვაგალური რეფლექსი.

1833. ფენგანლის დიდმა ღოზებმა ბავშვებში შეიძლება გამოიწვიოს: 1. ჰიპოტონია და ბრადიკარდია; 2. სუნთქვის დათრგუნვა; 3. კრუნჩხვები;

- ა) სწორია ყველა;
- ბ) სწორია 1,3;
- *გ) სწორია 1,2.

1834. დროპერიდოლის ძირითადი ეფექტია:

- *ა) ნეირო-ვეგეტატიური სტაბილურობა, არითმიის საწინააღმდეგო მოქმედება;
- ბ) ანალგეტიკური ეფექტი;
- გ) ღებინების საწინააღმდეგო ეფექტი;
- დ) ყველა პასუხი სწორია;

1835. ბავშვებში დროპერიდოლის გამოყენებისას შესაძლებელია: 1. ვაზოპლევია და ჰიპოტონია; 2. „მცირე მოცულობის“ სინდრომის განვითარება; 3. პირდაპირი მიოკარდიო დეპრესიული ეფექტი.

- ა) სწორია ყველა;
- ბ) სწორია 1,3;
- *გ) სწორია 1,2.

1836. დროპერიდოლის მოქმედების მაქსიმალური ეფექტი ღვება:

- ა) 1-3 წთ-ში;
- ბ) 5 წთ-ში;
- *გ) 6-12 წთ-ში;
- დ) 12-15 წთ-ში;
- ე) 20 წთ-ში.

1837. ნეიროლეპტანალგეტიკების გამოყენებისას სისხლის მიმოქცევის ცვლილებების II ფაზა ხასიათდება: 1. მოცირკულირე სისხლის მოცულობის გაზრდით და არტერიული წნევის დაქვეითებით; 2. მოცირკულირე სისხლის მოცულობის შემცირებით, არტერიული წნევის მომაგებით, საერთო პერიფერიული წინააღმდეგობის მომაგებით და პულსის განშირებით; 2. საერთო

პერიფერიული წინააღმდეგობის შემცირებით, პულსის გაიშვითებით და სისხლის მიმოქცევის წუთმოცულობის გაზრდით;

ა) სწორია ყველა;

*ბ) სწორია 1,3;

გ) სწორია 1,2.

1838. ახალშობილებს და ჩვილ ბავშვებს ახასიათებს:

ა) მგრძნობელობის მომაგება მაღეპოლიმირებული და რემისგენგობა არამაღეპოლიმირებული მიორელაქსანტის მიმართ;

*ბ) მომაგებული მგრძნობელობა არამაღეპოლარიზებული და რემისგენგობა მაღეპოლარიზებული რელაქსანტის მიმართ;

გ) მომაგებულია მგრძნობელობა ორივე ტიპის მიორელაქსანტის მიმართ;

დ) რემისგენგობა ორივეს მიმართ.

1839. ბავშვის გადაუღებელი დახმარება სუნთქვის მწვავე უკმარისობის დროს მდგომარეობს შემდეგში: 1. ვიგამინოთერაპია; 2.

მოციორკულირე სისხლის მოცულობის აღდგენა; 3. მკავე-ტუგოვანი წონასწორობის აღდგენა; 4. ოქსიგენოთერაპია;

ა) სწორია ყველა;

ბ) სწორია 1,3;

გ) სწორია 1,2;

*დ) სწორია 2,3,4.

1840. სუნთქვის მწვავე უკმარისობის დროს გადაუღებელი დახმარება მოიცავს: 1. სასუნთქი გზების გამაფლობის

უზრუნველყოფას; 2. ხველის სტიმულირებას; 3. ოქსიგენოთერაპიას; 4. კოფეინის შემცველი პრეპარატების გამოყენებას;

ა) სწორია ყველა;

*ბ) სწორია 1,2,3;

გ) სწორია 1,4.

1841. ასთმური სტატუსის დასაწყის სტადიას აღგენენ:

ა) შეტევის ხანგრძლივობით;

ბ) გამოხატული ქოშინით;

*გ) სიმპათომიმეტიკებისაღმი გოლერანგობის შემცირებით.

1842. ასთმური სტატუსის დროს უნიშნავენ:

ა) ეუფილინს;

ბ) ოქსიგენოთერაპიას;

გ) სელაციურ პრეპარატებს;

*დ) ყველა ზემოწამოთვლილს;

ე) ბრონქოსკოპიას.

1843. ეუფილინის დოზის გადამაგების პირველი ნიშანია:

ა) გონების დაკარგვა;

*ბ) თავის ტკივილი, მუცლის ტკივილი, გულისრევა, ლებინება;

გ) გულის რითმის დარღვევა.

1844. მწვავე მასგენომირებელ ლარინგოტრაქეიტს არ ახასიათებს:

ა) ხმის ტემბრის შეცვლა;

ბ) უხეში, მყეფავი ხველა;

გ) გულმკერდის ყაფაზის შემწევა;

*დ) ამოსუნთქვის გახანგრძლივება.

1845. ხმოვანი იოგების შემუქების სამკურნალოდ ყველაზე ეფექტურია:

ა) ლიურეტიკები;

ბ) ჰორმონები;

გ) სიმპათომიმეტიკები;

*დ) ქანგბადის ოროქლით ინჰალაცია.

1846. ნახველის გათხელებას არ იწვევს ინჰალაცია და ინტრატრაქეული შეყვანა:

ა) ლემოქსირიბონუკლეაზის;

ბ) ლიდაზის;

*გ) კანამიცინის ხსნარის;

დ) მუკოსალვინის.

1847. III ხარისხის კრუპის დროს ინჰალაციის ხანგრძლივობა უნდა იყოს:

ა) 30 წუთი;

ბ) 2 საათი;

*გ) პროლექციული ხველის გამოვლინებამდე.

1848. სისხლის ღენას აძლიერებს:

- ა) ალბუმინის 5%-ანი ხსნარი;
- ბ) ალბუმინის 10%-ანი ხსნარი;
- გ) რინგერ-ლაქტატი;
- დ) ნატიური პლაზმა;
- *ე) რეოპოლიგლუკინი.

1849. კალიუმის იონებით ორგანიზმის ოპტიმალურ მომარაგებას უზრუნველყოფს:

- ა) კალიუმქლორიდის 0,3%-ანი ხსნარი;
- ბ) კალიუმქლორიდის 1%-ანი ხსნარი;
- გ) კალიუმფოსფატის ხსნარი;
- *დ) 20%-ანი გლუკოზისა და 7,5%-ანი კალიუმქლორიდის ხსნარების ნარევი.

1850. ნაწლავური ინფექციის დროს ინფუზიური თერაპიის საწყის ეტაპზე გამოიყენება:

- ა) ნატრიუმქლორიდის 10%-ანი ხსნარი;
- ბ) ნატრიუმქლორიდის 0,9%-ანი ხსნარი;
- *გ) რინგერის ხსნარი (რინგერ-ლაქტატი, ლაქტასოლი);
- დ) დისოლის ხსნარი.

1851. ვენის კათეტერიზების ყველაზე ხშირი გართულებაა:

- *ა) ფლემბი;
- ბ) თრომბოზი;
- გ) ემბოლია;
- დ) პნევმოთორაქსი.

1852. კანის მელაპირული დამწვრობის დროს ბავშვის ჰოსპიტალიზაცია არ არის აუცილებელი, იმ შემთხვევებში როდესაც კანის დაზიანების ხარისხი და ფართობი შეადგენს:

- *ა) I ხარისხის, 5-10%;
- ბ) I ხარისხის, 10-15%;
- გ) II ხარისხის, 5%-ზე მეტი;
- დ) III ხარისხის, 3%-ზე მეტი.

1853. მცირე უბანზე დამწვრობის დროს აუცილებელია გაკეთდეს: 1. დაზიანებული უბნის წყლის ჭავლით მორეცხვა; 2. დაზიანებულ უბანზე განზავებული სპირტის ნახევრის დაღება; 3. ჰემატოკრიტის განსაზღვრა.

- ა) სწორია ყველა;
- ბ) სწორია 1,3;
- *გ) სწორია 1,2.

1854. "მზის დაკვრის" ნიშნებს მიეკუთვნება:

- ა) თავის ტკივილი;
- ბ) გულისრევა, ლებინება;
- გ) ტემპერატურის მომატება;
- *დ) ყველა პასუხი სწორია.

1855. "მზის დაკვრის" დროს აუცილებელია ყველა ჩამოთვლილი ღონისძიების ჩატარება, გარდა:

- ა) ბავშვის ჩრდილში მოთავსება;
- ბ) მაგისტრალურ სისხლძარღვებზე ცივი საფენების დაღების;
- გ) სისხლის მიმოქცევის და სუნთქვის მოშლის შემთხვევაში ბავშვის ჰოსპიტალიზაციის;
- *დ) აგროპინის შეყვანის.

1856. ქალა-გენის გრაველ კომას უმთავრესად ახასიათებს:

- *ა) სუნთქვის ფუნქციების მღვრადი ღარღვევა;
- ბ) ღვიძლის უკმარისობა;
- გ) თირკმლების უკმარისობა.

1857. ქალა-გენის გრაველის დროს შეშუპების საწინააღმდეგო თერაპიის მიზანია:

- ა) ჰემატომის გავრცობის აცილება;
- *ბ) ქალასშიგა წნევის მომატების აცილება;
- გ) ორივე მათგანი

1858. ტერმინალურ მდგომარეობად არ ითვლება:

- ა) IV ხარისხის შოკი;
- *ბ) კომა;
- გ) აგონია;

დ) კლინიკური სიკვდილი.

1859. ბავშვებში თირკმლის მწვავე უკმარისობის უხშირესი მიზეზია:

- *ა) ჰიპოვოლემია;
- ბ) ნეფროტოქსიკური ნივთიერებების მიღება;
- გ) ჰემოლიზი;
- დ) თირკმლის განვითარების მანკები.

1860. თირკმლის მწვავე უკმარისობის ოლიგურიის სტადიაში უმეტესად ვლინდება:

- ა) ჰიპოკალიემია;
- *ბ) ჰიპერკალიემია;
- გ) ჰიპერნატრიემია;
- დ) ჰიპერკალციემია.

1861. თირკმლის მწვავე უკმარისობის განვითარების ადრეული ნიშანია:

- *ა) სისხლში შარლოვანას მომაგება;
- ბ) შარდის ხვედრითი წონის მომაგება;
- გ) სისხლში კალციუმის მომაგება;
- დ) სისხლში კალიუმის მომაგება.

1862. თირკმლის მწვავე უკმარისობის დროს არ იყენებენ:

- *ა) გენტამიცინს;
- ბ) ცეფოტაქსიმს;
- გ) ვანკომიცინს;
- დ) ცეფობიგს.

1863. ღვიძლის მწვავე უკმარისობის ყველაზე ადრეული ნიშანია:

- ა) ჰიპერბილირუბინემია;
- ბ) ჰიპოალბუმინემია;
- გ) ჰიპოგლიკემია;
- *დ) ამინოტრანსფერაზების მომაგება.

1864. ღვიძლის მწვავე უკმარისობას თან ახლავს:

- ა) ჰიპერკალიემია;
- *ბ) ჰიპერბილირუბინემია;
- გ) მეტაბოლური აციდოზი;
- დ) შარლოვანას მომაგება.

1865. 3 წლის ბიჭი 17 კგ სხეულის მასით გადმოვიარდა ფანჯრიდან და მიიღო მრავლობითი ნაფლეთი ჭრილობები ორივე ხელზე. ამ ჭრილობების მკურნალობისას ჩამოთვლილი მტკიცებულებიდან, რომელი უფრო მნიშვნელოვანია?

- ა) ლილიკაინის მაქსიმალური დოზა აღრენალინის გარეშე - 7მგ/კგ (119 მგ = 11, 9 მლ 1% ლილიკაინის);
- *ბ) ალგილობრივი ანესთეტიკების მიერ გამოწვეული ტოქსიური რეაქციების უმრავლესობა წარმოიქმნება ინტრავენური შეყვანის შედეგად;
- გ) ლილიკაინის ტოქსიური ეფექტის ადრეული სიმპტომები გამოვლინდება ხველების, ქოშინის და რესპირატორული ალკალოზის სახით;
- დ) ბუპივიკაინი უსაფრთხოა 5 წელზე მეტი ხნის ბავშვებში;
- ე) არც ერთი.

1866. ორი წლის ბავშვი მოთავსდა კლინიკაში გულყრის ნიშნით და საჭიროებს კომპიუტერული ტომოგრაფიის და თავმურგტინის არხის პუნქციის ჩატარებას. სელაციური ეფექტისათვის კარგ არჩევანს წარმოადგენს:

- ა) მეპერიდინის (ნარკოტიკული ანალგეტიკისა), პრომეტაზინის (პიპოლფენისა) და ქლორპრომამინის (ამინაზინისა) ნარევი რადგან ის არ იწვევს სუნთქვის დათრგუნვას 1 წელზე მეტი ხნის ბავშვებში;
- *ბ) ქლორალჰიდრატი, რადგანაც ის ხასიათდება მოქმედების სწრაფი დაწყებით და დამთავრებით;
- გ) მორფინი, რადგანაც სელაციური ეფექტი ღვება უფრო მცირე დოზებისას, ვიდრე ეს ესაჭიროება გაუტკივარებას;
- დ) მეტოქეჰსიტალი, რადგანაც ის სწრაფად მოქმედებს;
- ე) არც ერთი.

1867. თირკმლისმიერი კომის დროს არ გამოიყენება:

- ა) გლუკოზა;
- *ბ) ცილოვანი პრეპარატები;
- გ) რეოპოლიგლუკინი;
- დ) მანიტოლი.

1868. "შოკური ფილტვების" პათოგენეზური მექანიზმია:

- ა) სისხლის მიმოქცევის მცირე წრეში წნევის მომატება;
- ბ) ფილტვების არაადეკვატური სპონტანური ვენტილირება;
- გ) ენდორფინების ჰიპერპროდუქცია;
- *დ) ფილტვების სისხლძარღვების წვრილი ტოტების თრომბოემბოლია.

1869. ბავშვებში გრავმული შოკის დროს არტერიული წნევის შენარჩუნება ხდება: 1. სისხლის გაღანაწილებით; 2. სისხლძარღვოვანი სპაზმით; 3. ცნს-ის სიმპათიკური ნაწილის ჰიპერფუნქციით; 4. ტემპერატურის დაქვეითებით; 5. გულის მუშაობის ინტენსიფიკაციით;

- ა) სწორია ყველა;
- ბ) სწორია 1,3;
- გ) სწორია 1,2.
- *დ) სწორია 1,3,5.

1870. გრავმული შოკის დროს საჭიროა:

- ა) ჰეპარინის გამოყენება;
- ბ) ფიბროლიზინის გამოყენება;
- *გ) ინფუზიური თერაპიის დაწყება;
- დ) ბავშვის გათბობა.

1871. გრავმული შოკის დროს მეტაბოლური აციდოზის კუპირება უნდა მოხდეს:

- ა) ფილტვების ხელოვნური ვენტილირებით;
- ბ) ოქსიგენოთერაპიით;
- გ) ტკივილის მოხსნით;
- *დ) მოციარკულირე სისხლის მოცულობის ლეფიციტის აღდგენით.

1872. ბარბიტურატებით მოწამვლისას სუთქვითი დეპრესია უნდა მოიხსნას:

- ა) პრომელოლით;
- ბ) დროპერიდროლით;
- *გ) ბემეგრით;
- დ) ნატრიუმის ოქსიბუტირატით.

1873. მხუთავი აირით მოწამვლის მკურნალობის ოპტიმალური მეთოდია:

- ა) მემბრანული ოქსიგენაცია;
- *ბ) ჰიპერბარული ოქსიგენაცია;
- გ) ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია;
- დ) ჰემოსორბცია.

1874. შოკის საწინააღმდეგო თერაპიის ეფექტურობის შეფასების ყველაზე ადრეული მაჩვენებელია:

- *ა) არტერიული წნევის ნორმალიზება;
- ბ) ტაქიკარდიის მოხსნა;
- გ) ცენტრალური ვენური წნევის ნორმალური დონე;
- დ) მეტაბოლური აციდოზის ლიკვიდირება;
- ე) ლიურემის ნორმალიზება.

1875. ორგანიზმში წყლის ბალანსის განსაზღვრის ყველაზე მარტივი მეთოდია:

- *ა) ბავშვის რეგულარული აწონვა;
- ბ) ლიურემის საათობრივი განსაზღვრა;
- გ) ღლე-ღამის შარდის შეგროვება;
- დ) ჰემატოკრიტის განსაზღვრა.

1876. ბავშვის ორგანიზმის წყლის ბალანსზე მსჯელობენ:

- ა) ჰემოგლობინის დონით;
- ბ) ბავშვის წონით;
- გ) ჰემატოკრიტით;
